ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.
ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. შესრეთ იყოს სიხარული ცთა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.
მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 11—12 1883—1904 15—30 ივნისი

ოლიოდე სიტყვა იმერეთის საქალებო ეპარქიალურ სასწავლებელთან პანსიონის დაარსების შესახებ.

მერეთის სამღვდელოებას ერთად ერთი საქალებო სასწავლებელი აქვს ქუთაისში: ქუთაისის საქალებო ეპარქიალური გაბრიელის სასწავლებელი აგერ ცხრა-ათი წელიწადი იქნება, რაც ეს სასწავლებელია დაარსებული და დღემდე რიგიანად მოწესრიგებული არ არის. არ გვაქვს მასთან პანსიონი, სადაც შესაძლო იქნებოდა უფრო რიგიანად მოვლა-აღზრდა მოსწავლე ქალებისა.

შეიძლება ბევრმა უვარგისად ჩასთვალოს პანსიონი აღზრდისათვის; შეიძლება სთქვან: პანსიონი სულს უხუთავს მოსწავლეთ, უსპობს თავისუფლების და ნებას არ აძლევს მათ ნიჭთა და მიდრეკილებათ თავისუფლად განვითარებასთა. მაგრამ ეს ასე არ არის. კეთილსა საქმეს, თუ კარგი გამოცდილი მეთაური ჰყავს, უსათუოდ კეთილ ნაყოფს გამოიღებს და პირიქით, თუ საქმეს სათავეში გამოუცდელი და ცუდი მეთაური უდგია, რაც უნდა კეთილი საქმე იყვეს, ჩაიშლება და ცუდი შედეგიც ექნება.

პანსიონი თუ ოდესმე იყო საჭირო დაბალ და საშუალო სასწავლებლისათვის მით უმეტეს საჭიროა ეხლა, ჩვენს დროში, როცა მრავლად არის გავრცელებული საზოგადოებაში სხვა-და-სხვა ცუდი აზრი და მიმართულება, როცა მრავლად იბეჭდება ცუდი მიმართულების წიგნები და ფურცლები, როცა სიტყვიერადაც ბევრი ცუდი აზრი ვრცელდება მოსწავლეთათვის ნორჩ გონების მომშხამველი. პანსიონი აიცდენს ყმაწვილის გონებას ყოველივე ცუდ მიმართულებას და შეაყვარებს იმ საქმეს, რაზედაც

პატრონსა და სასწავლებელს დაუყენებია.

ყმაწვილთა სული და გრძნობა, როგორც ვიცით, დაუსრულებელია და განუვითარებელი. მისი არსება როგორც ახლად დაყენებული ღვინო, სდუღს, მოუსვენარია. ყოველივეს ეტანება, ყოველივეს გაგება სურს, მიუხედავად ცუდია თუ კეთილი იგი; რაც უფრო აღკრძალულია და დაწლილი მას უფრო ელტვის; მოწადინებულია ჩაიგდოს ხელში და წაიკითხოს რაც უფრო ღრმა და გაუგებარის აზრის წიგნია. დამშლელი ან ამხსნელი თუ არავინ ჰყავს მოსწავლეს შეიძლება ცუდად გაიგოს წაკითხული წიგნი, ცუდად შეითვისოს, დიდხანს გაჰყვეს ცუდად შეთვისებული აზრი და შეიძლება სრულიად შერჩეს. ხშირია მაგალითი, როდესაც 15-16 წლის მოსწავლეს წაუკითხავს რომელიმე ცუდი მიმართულების წიგნი, ან კარგი წიგნი, მაგრამ ვერ გაუგია მისი აზრი და მისი მსხვერპლი შექმნილა. ამას წინად ერთს რუსულ გაზეთში თვალსაჩინო ამბავი იყო მოთხრობილი. ორ ახალგაზდა გიმნაზიელს წაუკითხავსთ მაინ-რიდის რომანები; ყმაწვილები ისე გაუტაცნია და აუღელვებია ამ წიგნებს, რომ გადაუწყვეტიათ ფული შეეგროვებიათ და წასვლა ბედნიერების საძებნელად სწორეთ ისე, როგორც ეს რომანებში ყოფილა მოთხრობილი. ნაცნობებსა და ნათესავეთა შორის შეუკრებნიათ რამოდენიმე ფული და მშობლების დაუკითხველად გაპარულან. მშობლებს, როცა შვილები ვერ უნახავთ, ძებნა დაუწყიათ ნაცნობებსა და ნათესავებში და ბოლოს რის ვაი-ვაგლახით დაუჭერნიათ და შინ დაუბრუნბრუნებიათ. ამისთანა მაგალითები ხშირია, რაც უნდა მიეწეროს მოსწავლეთაგან ცუდ ან გაუგებარის წიგნების წაკითხვას. ხშირად ასეთის კითხვით ჩვენი მოსწავლე თაობა ისეთ საქმეს სჩადის, რომელიც მათ პატრონებს და წინაპრებს ფიქრადაც არ მოსვლია. შეიძლება რომელიმე წიგნის აზრი კეთილი და გამოსადეგიც იყოს, მაგრამ ყმაწვილის განუვითარებელი გონება ვერ ითვისებს ‍ კეთილის მაგიერ ცუდი მოაქვს მისთვის. ვინ უნდა აუხსნას ცნობისმოყვარე ყმაწვილს კარგი და ცუდი? ან მშობლებმა ან მასწავლებლებმა. მაგრამ ჩვენი მოსწავლე ქალები მოკლებულნი არიან ორთავეთაგან სწავლა-დარიგებას. უმეტეს ნაწილს ეპარქიალურ სასწავლებლის მოსწავლე ქალებისას შეადგენს სოფელელ მღვდლების და დიაკვნის ქალიშვილები. მათი მშობლები სოფლებში არიან დამწყვდეულნი და ამიტომ თვალ-ყურს ვერ ადევნებენ თავიანთ შვილებს. მშობლებმა არ იციან რას ჩადიან, რას აკეთებენ მათი შვილები გაკვეთილების შემდეგ თავისუფალ დროს. არც მასწავლებლებმა იციან დაწვრილებით სკოლის გარეშე მოსწავლე ქალების ცხოვრება, რადგან მასწავლებელი კერძო ბინაზე სცხოვრებს ქალიშვილებს იმ რიგად თვალ-ყურს ვერ ადევნებს. არ იციან რა საგანი უფრო ინტერესებს მათ მოწაფეებს, რა ხალხთან აქვთ დამოკიდებულება, რა ყოფა-ქცევას ადგანან სკოლის გარედ და სწორედ ისე, როგორც მშობლები, ვერც ისინი მისცემენ ჯეროვან დარიგებას თავიანთ მოწაფეებს. ამ გარემოებით აიხსნება ის უკულმართობა, რომელსაც ჩვენ ვამჩნევთ ჩვენს მოწაფეებში. ნაცვლად იმისა, რომ ეპარქიალურ სასწავლებელში აღზრდილი ქალი იყვეს ღვთის მოშიში, შრომის მოყვარე სამწუხაროდ სასწავლებლის გათავების შემდეგ ეკკლესიას და საღვთო წერილის კითხვას თავს ანებებს. გამოდის სცენაზე, ან გადამწერლათ შედის სადმე დაწესებულებაში. მათ შრომაზე. მეჯახობაზე ნურას იკითხავთ; ზოგიერთმა მათგანმა ნემსის ამოღებაც არ იცის .. სოფლად წასვლა, თავიანთ დების დახმარება, მათთვის გარჯა მათ არ აინტერესებთ. მღვდლის მეუღლობას და მასთან ერთად სოფელელთა სასარგებლოდ შრომას ვერ უხსენებ ეპარქიალურ სასწავლებელში კურს დამთავრებულს. (თითო ოროლა მაგალითი სახეში მისაღები არ არის.) ხშირად გამიგონია მათგან: „რა უნდა ვქნათ, რა უნდა გავაკეთოთ სოფელში, რაც ვიცით ისიც დაგვავიწყდება, ან ჩვენს ნათქვამს გაიგონებს სოფლის გაუნათლებელი ხალხი“. მაგრამ ნუ თუ მართალია ასეთი თავის გამართლება? ნუ თუ ვერავითარ სიკეთეს ვერ მოუტანს სოფელს საშუალო განათლების ქალი? სულ რომ დავამციროთ, ბავშვებს ხომ კი ასწავლის წერა-კითხვას? რამდენი ქალია სოფელში, რომელთაც მოკითხვის წიგნის წაკითხვაც არ იციან? პატარა ქალი რჩება 10—12 წლისა, რომელთაც არ იციან პირჯვრის წერა? ნასწავლ ქალს ხომ კი შეუძლია აბრეშუმის მოვლა უკეთესად აუხსნას სოფლის ქალებს და ამით ნიგიერი სარგებლობაც მოუტანოს მათ? ეპარქიალურ სასწავლებლის კურს დამთავრებულ ქალს, რომელსაც გგიიენა და მედიცინა ცოტად მაინც შეუსწავლია ხომ შეუძლია ცოტა რამ დარიგება მისცეს

ქალებს და მით შეუმსუბუქოს ის ტანჯვა-წვალება, რომელიც მათთვის ბუნებას ურგუნებია მშობიარობის დროს?.. და რამდენ ასეთს სიკეთეს შესძენს სოფელს ნასწავლი გულკეთილი ქალი!.. მაგრამ ყველა ეს ეთაკილება უმეტეს ნაწილს ჩვენს კურს დამთავრებულ ქალებს. რისთვის? ვითომ იმისთვის კი არა, რომ სასწავლებლის მთავრობა არ აქცევს მათ აღზრდას ჯეროვან ყურადღებას. არა; მთავრობა შეიძლება ძლიერადაც ზრუნავდეს თავის მოწაფეების აღზრდისათვის, მაგრამ რა ჰქნას, როგორ უნდა შეასრულოს უნაკლულოდ თავისი მოვალეობა, როცა ერთი მოსწავლე გოკოურაზე სცხოვრობს, მეორე საფრჩხიაზე და მესამე ქვიტირნი? სასწავლებელმა რომ ჯეროვანად აღზარდოს თავისი მოწაფეები, რიგიანად მოამზადოს მომავალ ოჯახურ ცხოვრებისათვის, საჭიროა ამ მოსწავლეთა კოლლექტიური, ერთობრივი ცხოვრება. აქ სასწავლებელს უფრო კარგი გავლენა ექნება მოწაფეებზე, უკეთესად მოამზადებს მათ ცხოვრებისათვის, ვიდრე მაშინ, როცა ისინი აქა-იქ არიან გაფანტულნი. მოსწავლე ქალების ერთობრივი ცხოვრება მოხერხდება პანსიონში. აქ მოსწავლე გაკვეთილების შემდეგ, თავისუფალ დროს, თავის სასარგებლოდ მოიხმარს. გამოცდილი აღმზრდელი და ზედამხედველი ყოველთვის მისცემს მათ შესაფერის და არა მოსაწყენ საქმეს; გაუჩენს ხელსაქნარს, ასწავლის მეგობარობას, საქონლისა და ფრინველების მოვლა-მოშენებას, მეაბრეშუმობას, მეფუტკრობას და ერთის სიტყვით აქ უკეთესად მომზადდება ქალი იმ დიდ მნიშვნელოვან მოვალეობის აღსასრულებლად, რომელსაც მოითხოვს მისგან ბუნება და საზოგადოება. მაშინ შესაძლოა ამ სასწავლებლიდან გამოვიდეს „ნამდვილი ჭეშმარიტი ქრისტიანე ქალი“ როგორიც სურდა ყოფილიყვნენ ჩვენი ნასწავლი ქალები განსვენებულს ამ სასწავლებლის დამაარსებელს გაბრიელ ეპისკოპოზს.

გურ. ხაჟ.

✿ ეკლესია ✿

თავი პირველი.

ეკლესია, როგორც თვით-არსი სარწმუნოებრივი საზოგადოება.

I

დასაწყისი, მიზანი და წევრები

(გაგრძელება*)

ეს საზოგადოება—უ'ველესი მოვლენაა ძველი კაცობრიობის ცხოვრებაში. ადამიანთა ყველა ჩვეულებრივ საზოგადოებათაგან ის მითი განსხვავდება, რომ იგი არა ამ ქვეყნისაგანია.[1]) ყოვლთა უწინარეს მას აქვს ჩამომავლობა არა კაცობრივი, არამედ ღვთაებრივი. თვითონ ძე ღვთისა გარდამოხდა ზეცით, და თვისი სწავლით და ჯვარზე სიკვდილით თვითვე, სხვის-და უშუამდგომლოთ, დააფუძვნა ეკლესია თვისი.[2]) გაგრძელებითაც იგი აგრეთვე ღვთის შეწევნით გავრცელდა. სახარების მქადაგებლები ღვთის ნებას ასრულებდენ და ამის ნებართვას იგინი მთავრობას არა თხოვდენ. თუ უკანასკნელი მათ ქრისტეს მოძღვრების ქადაგებას აღუკრძალავდა ჯ დევნას დაუწყებდა, — მქადაგებლები, თვის სიმართლეზე საუბებით დარწმუნებულნი, დამშვიდებულათ უპასუხებდენ: „მორჩილება ჯერ-არს ღმრთისა უფროს, ვიდრე კაცთა“.[3]) მორწმუნენი ივიწყებდენ ყოველს კაცობრივ ავტორიტეტს, ისი მატერიალური არგუმენტებით. მისდევდენ მხოლოდ ღვთის ნებას და მქადაგებელთა მოწოდებას სრული რწმენით უპასუხებდენ.

ამ რიგათ, ეკლესია ღვთისა ქვეყნად თვით ღვთისავე პირდაპირის ნებითაა დაფუძნებული, — და მორწმუნენი შედიან და იმყოფებიან მასში აგრეთვე ღვთის ნების თანახმად.

ამ სახითვე, ეკლესიის დაფუძნების და არსებობის მიზანსაც არაფერი საერთო არა აქვ' სამოქალაქო საზოგადოებათა დანიშნულებასთან. მაშინ, როცა უკანასკნელებს სახეში აქვსთ ცხოვრების გარეგანი წესრიგი უზრუნველ ყოფა და მოქალაქეს შეძლება მისცენ ცხოვრების მოთხოვნილებანი წესიერათ დაიკმაყოფილოს, — ქრისტეს ეკლესია იმ მიზნით

*) იხ. „მწყემსი“ № 10

1) იოან. 17, 16; 18, 36.

2) მათ. 16, 18; 1 კორინთ. 3, 11.

3) საქმე მოც. 5, 29; გალატ. 1, 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობს, რომ ქვეყნად ღვთის ძის გარდამოსვლით დაწყებული კაცთა ხსნის საქმე განაგრძოს ᲓᲔ მსურველნი მომავალ ზეციურ და საუკუნო სასუფეველში სამკვიდრებელის მისაღებად მოამზადოს.[1]) როცა ქრისტიანი ეკლესიის წევრი ხდება, მას სახეში აქვს მომავალი სასუფეველისათვის მომზადება. იგი უარჰყოფს ქვეყნისადმი მიდრეკილებას, მისი ქვეყნიური ინტერესებითა და სიამოვნებით, ქვეყნიურ ცხოვრებას უცქერის ისე, როგორც მწირობის დროს,[2]) თვის ნამდვილ სამშობლოდ მარტო ზეცა მიაჩნია,[3]) განუწყვეტლივ მას იგონებს, მუდამ მასში დასაბრუნებლათ ემზადება[4]) და ყოველ-დღე მის მალე მოსვლისათვის ლოცულობს.[5]) თვალთა ხედვის ამ უმაღლეს წერტილზე მდგომი ქრისტიანი, რათქმა უნდა, ვერ შესძლებს თვისი ცხოვრების მიზნად საამქვეყნო კეთილთა მოპოვება და მათით, რაც შეიძლება, შეტი დატკბობა აღიაროს; ყველაზე წინ ის ეძებს სასუფეველსა ღვთისასა; საკაკო ცხოვრების სიკეთენი მისთვის მეორე ხარისხოვანი, ან უკეთ დამატებითი საგანია.[6]) ამიტომაც ქრისტეს ეკლესიის მიზანში არ შედის კაცთა გარეგანი კეთილდღეობის მოწყობა, არც მათთვის ცხოვრების სიკეთეთა მოპოვება, გინდ სხვა-და-სხვა უბედურებათაგან დაცვა, არც სახელმწიფოებრივი ცხოვრების არსებობისა და წარმატების უზრუნველ-ყოფა, როგორც ეს, მაგალითათ, ძველი რომის იმპერიაში იყო რომაელთა წარმართობრივ სარწმუნოების შესახებ. მართალია, ეკლესია ლოცულობს „მშვიდობისათვის ყოვლისა სოფლისა“, «კეთილ-მეზავებისათვის ჰაერთასა», „გამოღებისათვის ნაყოფთა ქვეყანისათა“, დაცვისათვის სამოქალაქო წესისა ᲓᲔ სხვა; მაგრამ, საუფლო მცნების თანახმათ,[7]) საამქვეყნო კეთილთა შესახებ იგი ლოცულობს, როგორც მეორე ხარისხოვან ანუ დამატებით საგანზე.[8]) ამასთანავე ლოცვას ქვეყნიურ საგნებზე ეკლესია პირობითათ აღავლენს, ე. ი. უკეთუ ღმერთი კეთილ-ინებებს და ნათხოვნი სიკეთის მოცემას ჩვენთვის საჭიროდა და სასარგებლოდ ცნობსო.[9])

1) იოან. 3, 15—18; 1 პეტ. 1, 4—9.
2) 1 პეტრ. 1, 17; 2, 11.
3) ფილიპ. 3, 20; ებრ. 11, 16.
4) ებრაელ. 13, 14.
5) მათეს. 6, 10.
6) ლუკ. 12, 29—31.
7) მათესი. 6, 6—13.
8) ლუკ. 12, 29—31.
9) მათეს. 6, 7. 8. 31—33.

ეკლესიის ვედრება ამ საგნების შესახებ გამომხატველია იმ ეთილმოსურნეობისა და კეთილგანწყობილებისა ყველასადმი და ყველაფერში, რომელიც ქრისტიანთა ჩვეულებრივს თვისებას შეადგენს. ამ შემთხვევაში ეკლესია ემსგავსება უფალსა, რომელიც თვისს აღუწერელი მოწყალებით აღმოავლენს „მზესა მისსა ბოროტთა ზედა და კეთილთა, და ჭეშმს მართალთა ზედა და ცრუთა“.[1])

ქრისტეს ეკლესია, მისი წევრების მხრივ, არცერთი სახელმწიფოთი ანუ ადამიანთა არც-ერთი კავშირით არაა შესამჴლვრული. ყველა ტომისა და ერის პირთ შეუძლიათ ქრისტეს ეკლესიის წევრობა.[2]) ეკლესიის წევრად გახდომაში არავითარ დაბრკოლებას და არც უპირატესობას არ აძლევს ადამიანს არც მისი სოციალური მდგომარეობა, არც ᲮᲥᲔᲡᲘ, არც ჰასაკი. ქრისტეს ეკლესიის წევრობა ყველა წოდებისა და მდგომარეობის, ყველა სქესისა და ჰასაკის პირთათვის თანაბრათ ხელმისაწვდომია.[3]) ქრისტიანობას ადამიანს უქადაგებენ და არა რომლისამე ქალაქის გინდ სახელმწიფოს მცხოვრებს, ანუ წევრს ამა თუ იმ კორპორაციისას, წოდებისას გინდ ოჯახისას. როცა მორწმუნე საეკლესიო კავშირში შედის, ქვეყნიური დიდების ყველა ნიშნებს, ყველა წოდებრივსა და სხვაგვარს უპირატესობას კარიბჭეშივე სტოვებს,—და თან ეკლესიაში მხოლოდ კაცობრივი ღირსება შეაქვს, ე. ი. ის ღირსება, რომელიც ღვთისაგან გაჩენის დროს მიიღო. არც ეროვნულს, არც წოდებრივს და არც სხვაგვარ საპატიო ღირსებას ქრისტიანობრივს ეკლესიაში მნიშვნელობა არა აქვს; აქ ყველა თანასწორია, ყველას ერთ გვარათ შეუძლია საღმრთო მადლის ტახტს მიუახლოვდეს.[4]) მაგრამ ქრისტეს ეკლესიის წევრად გახდომისათვის მარტვა ადამიანობა არ კმარა. ადამიანები ხორცით ქრისტიანებად არ იბადებიან, თუნდაც მშობლები ქრისტიანები ᲰᲧᲐᲕᲓᲔᲗᲐ,—არამედ ხდებიან ქრისტიანები.[5]) რომ ქრისტიანი გახდე, მეორედ შობაა საჭირო, ღვთისგან,[6]) წმ. ნათლისღებით.[7]) აი საიდან

1) მათეს. 5, 45.
2) მათ. 28, 19; მარ 16, 15; კოლ. 3, 11; გალ. 3, 28.
3) კოლას. 3, 11; გალატ 3, 28.
4) იოანე ოქროპირი: „Бесѣды на разные случаи“. Спб: 1864—5 г. т. II, стр. 142, 157—159. 243. 244. 247. 251. 252.
5) Tertul. Apol. 18. De anima 1.
6) იოანეს. 3, 3—8.
7) იოან.4, 2; მათ.28, 19; საქ.მოც.2, 38-41; გალ.3,27.

ჩამოვალობენ ქრისტიანები. ისინი „არა სისხლთაგან, არცა ნებითა ხორცთათა, არცა ნებითა მამა-კაცისათა, არამედ ღმრთისაგან იშვნეს“.[1]) იგინი არიან „შვილნი ღმრთისანი“ ⁄ „სახლეულნი ღმრთისანი“, ნაშობნი წმ. ეკლესიის წიაღში.[2]) მაშასადამე ყველანი ერთმანეთის ნათესავი არიან, ყველანი ძმები არიან და დები უფლისა მიერ.[3]) ეს სულიერი ნათესაობა მუდამ წმ. საიდუმლო ზიარებით მტკიცდება და ძლიერდება. ერთის ხორცის მიმღებელნი და ერთის სასმელით ნაზიარები მორწმუნენი ერთ გვამს შეადგენენ, რომელსაც ჰყავს ერთი უხილავი თავი —ქრისტე.[4])—ამ სახით, ქრისტიანები განსაკუთრებულ ერს წარმოადგენენ, ერს წმიდას, რჩეულს, ერსა ღვთისასა,[5])—ერს, რომელსაც არავითარი რასებრივი და ნაციონალური განსაკუთრებული თვისებანი არა აქვს,—რომელიც გარეგნულათ მრავალგვარ ხალხთა და რასთა, სხვადასხვა წოდებისა და მდგომარეობის, ყოველგვარ სქესისა და ჰასაკის ადამიანთაგან შესდგება, მაგრამ შინაგანი სულით-კი მტკიცე სულიერ კავშირს წარმოადგენს, რომელსაც ჰყავს ერთი მამათ-მთავარი—ღმერთი, ერთი თავი—ქრისტე და აქვს ერთი სული—მადლი სულისა წმიდისა და ერთი საზრდო—ხორცი და სისხლი ქრისტესი, წმ. საიდუმლო ზიარება.

ამას შემდეგ ცხადია, ქრისტეს ეკლესიას არ შეუძლია ეროვნული სარწმუნოება შეიქნეს, როგორც, მაგალითათ, წარმართი ხალხებისა და ებრაელების სარწმუნოება იყო, ე. ი. არ შეუძლია ერთის რომელიმე ერის სარწმუნოებად ითვლებოდეს, მისი ეროვნული ხასიათის განუყრელი და სხვა ხალხთაგან განმასხვავებელი თვისება გახდეს და ამ გზით მისი ნაციონალური განკერძოების იარაღი შეიქნეს, —არ შეუძლია ხალხის ჩვეულებათა ვიწრო ჩარჩოებში ჩაეტიოს ⁄ მით თვისი მსოფლიო მნიშვნელობა დაჰკარგოს. ქრისტეს სარწმუნოება საყოველ-ხალხო, მსოფლიო სარწმუნოებაა. ხალხთა პოლიტიკური და ტომური დანაწილება მას ვერ შეავიწროვებს თავისი ვიწრო ჩარჩოებით. ეკლესიას შეუძლია წევრები ყველა ტომებსა და ყველა სახელმწიფოებში იყოლიოს; და ყველა მისი წევრები, სადაც გინდა ცხოვრობდენ, რაგვარ პოლიტიკურ პირობებშიაც გინდა იმყოფებოდენ, მისი გვამის განუყრელ ნაწილებს შეადგენენ. ადამიანთა ტომებად, ქალაქებად და სახელმწიფოებად გარეგანს დანაწილებას ეკლესიის მხოლოდ გარეგანს მართვა-გამგეობაში აქვს მნიშვნელობა,—იგი საფუძველს იძლევა ეკლესიის წევრთა დასანაწილებლათ ქალაქების, ოლქების და სახელმწიფოების მიხედვით. აქედან ჩნდება სხვა-დასხვა ზომის ადგილობრივ საეკლესიო საზოგადოებათა მთელი ბადე. მაგრამ ეს ადგილობრივი ეკლესიები ერთის მრთელის—მსოფლიო ეკლესიის ნაწილებია. იგი დამოუკიდებული ეკლესიები როდი არიან, ამა თუ იმ ქალაქისა და სახელმწიფოს კუთვნილებას კი არ წარმოადგენენ,—არამედ ერთი სხეულის ასოები არიან. კერძო ეკლესიები საეკლესიო ორგანიზმის საერთო ცხოვრებით ცხოვრობენ, მათში სცემს საზოგადო მაჯა სალმრთო მადლისა, რომელიც საეკლესიო გვამის ყველა ცოცხალ ნაწილებს ასულდგმულებს. უკეთუ კერძო ეკლესია საერთო გვამთან კავშირს შეისუსტებს ან გასწყვეტს, —მაშინ საერთო საეკლესიო ცხოვრების წყაროც მასში უსათუოდ შესუსტდება ან დაშრება. ამიტომაც, თუ გვსურს საქმე წესიერათ მიმდინარეობდეს, თითოეულ კერძო ეკლესიას მსოფლიო ეკლესიასთან პირდაპირი ერთობა უნდა ჰქონდეს,—ერთობა არა მხოლოდ სულიერი—სარწმუნოებისა, სიყვარულისა ⁄ წმიდა საიდუმლოების მხრივ, არამედ—გარეგნულ-კანონიერიც უმთავრეს საეკლესიო კითხვების შესახებ ადმინისტრატიულ მწყერ-მოწერის საშუალებით, საეკლესიო კანონების თანახმათ.*) მაგრამ საჭიროა შევნიშნოთ, რომ მსოფლიო ეკლესიასთან კერძო ეკლესიების კანონიერი ერთობა უკანასკნელთ კი არ უნდა ავიწროვებდესთ საეკლესიო ცხოვრების იმ გარეგანს მხარეებში, რომელთაც ადგილობრივი ეკ-

1) იოანეს. 1. 13.
2) 1 იოან. 3. 1; ეფეს. 2. 19.
3) მათეს. 23, 8.
4) რომაელ. 12, 4—5; ეფეს. 1, 22—23; III, 6; IV 4. 12. 15. 16.
5) 1 პეტრ. 2, 9—12; ტიტეს. 2, 14.

*) იოანე ოქროპირი: „Бесѣды на 1-ое посланіе Коринѳянамъ“ რუსული თარგმანით II, 178: „რადგანაც მთელ გვამს კორინთის ეკლესია კი არ შეადგენდა, არამედ მსოფლიო ეკლესია,—ამისგამო მოციქულმა დასძინა: ნაწილისაგანო, ე. ი. თქვენი ეკლესია ნაწილია მსოფლიო ეკლესიისა, როგორც გვამისა, რომელსაც ყველა ეკლესიები შეადგენენო, ასე რომ თქვენ მოვალენი ხართ არამც თუ ერთმანეთთან, არამედ მსოფლიო ეკლესიასთანაც თანხმობა იქონიოთ, თუ რომ ნამდვილათ მთელი გვამის ასოები ხართო.

ლესიის წევრთა ეროვნობასთან აქვსთ კავშირი, — არ უნდა აუპიროვნებდეს მათ, მაგალითად: არ უნდა უშლიდესთ საღმრთო წიგნები და ღვთის-მსახურება დედა-ენაზე იქონიონ, სასულიერო მწყემსები თვის თანამეტომეთაგან ამოირჩიონ, რომელნიც ენით და ცხოვრების წესრიგით მათი მონათესავენი არიან, თვით საეკლესიო მართვა-გამგეობაშიაც ზოგიერთი, ადგილობრივის სახელ-მწიფოებრივ მართვა-გამგეობით გაერწმეული, განსხვავებანი იქონიონ, მაგრამ იმ პირობით კი, რომ ეს განსხვავებანი ძირეულ საეკლესიო კანონებს არ ეწინააღმდეგებოდენ, და სხვა. საეკლესიო წყობილებისა და მართვა-გამგეობის ერთობა (единство) სრულიადაც არ მოითხოვს, როგორც კათოლიკები და ზოგნი სხვანიც ფიქრობენ, საეკლესიო ცხოვრების ყველა გარეგანი მხარეების ერთ-ფერობას (униформа). სხვა-და-სხვა სახელმწიფოებში მყოფ და სხვა და-სხვა ერთაგან წევრების მექონ ყველა ადგილობრივს ეკლესიებს რომ ერთის რომელისამე ერის ენა და წესები სავალდებულოდ გაუხადო—ეს ნიშნავს (მდაბიო ხალხის სარწმუნოებრივი ცხოვრებისათვის ამგვარი ზომის მავნებელ შედეგებზედაც რომ აღარაფერი ვთქვათ): ერთს რომელსამე ერს მისცე სხვა ერებზე უპირატესობა, როგორც ეკლესიისათვის განსაკუთრებით საყვარელ ერს,—უპირატესობა უადგილო და საწინააღმდეგო როგორც მაცხოვრის პირდაპირის მცნებისა, ისე ეკლესიის დედაუზრისა (იმ ეკლესიისა, სადაც „არა არს ურია და სკვითელი“),—ეს ნიშნავს: ეკლესია ნაციონალურ მისწრაფებათა და ინტერესების იარაღად გადააქცეო,—ეს ნიშნავს: ეკლესიას ძალათ თავს მოახვიო უღირსი როლი ეროვნებათა დამჩაგვრელობისა,—ეს ნიშნავს: საზოგადოთ, სასუფეველი ღმრთისა ქვეყნიურ სასუფეველს დაამსგავსო და ზეცის ქალაქს ამ-ქვეყნიური ჩვეულებანი მიათვისო.

ს. გორგაძე.

(შემდეგი იქნება)

«ბზა ბედნიერებისაკენ.»

იცან თავი თვისი.

(დასასრული*).

თვით-ანალიზს, თვისის ავკარგის გასინჯვა-შესწავლას აადვილებენ წიგნებიც, სცენაზე ნახული პიესებიც და ხელოვნების ნამოქმედარიც. უფრო სასტიკათ ვკიცხავთ სხვების იმ ნაკლს, რომელიც ჩვენ თვითონაც გვაქვს: ამაყი სხვებში ჭიკცხავს სიამაყეს. პირიქით ყველაზე დიდათ ვაფასებთ იმ ღირსებას, რომელიც ჩვენ არ გაგვაჩნია. ამ გვარად ყველა ახასიათებს თავისს თავს მიუი, თუ როგორ აფასებს სხვებსა.

აგრეთვე გაგვაცნობს ჩვენ თავს აზრი რომელიც ჩვენზე შეუდგენია იმ ადამიანებსა, ვისაც გვინდა თავი მოვაწონოთ. როგორათაც დაბალ საფეხურზე სდგას მწერალი, რომელიც ცდილობს ბრბოს მოვეწონოო, ისე ნაკლებ საქებია ჩვენი მოქმედებები, ფიქრები და ლტოლვილებანი, როდესაც ისინი მოსწონთ უღირსებს, დაბალი ჭკუა-გონების ადამიანებსა. აგრეთვე შეიძლება გავიცნოთ ადამიანი იმის მიხედვით, თუ როგორ ღებულობს ქებას და გაკიცხვას სხვისგან. რა თქმა უნდა აქ დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომელნიც სარწმუნო ავტორიტეტი გვაქებს, თუ გვაძაგებს. გელლერტის არაკის მხატვარმა მოსპო და გადაიშენა სურათი, როდესაც იგი შეაქო ფრიად სულელმა. სარწმუნო პირთა მოწონებას და კიცხვას ჩვენ სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ—მათმა გაკიცხვამ უნდა დაგვაფიქროს და ჩვენი ყოფა-ცხოვრება აგვაწონ-დაგვაწონინოს; მათი ქება და მოწონება კი არ შევვადგენინებს ჩვენს თავზე გაზვიადებულ აზრსა. გარდა ამისა, ჩვენ გვახასიათებს ის, როგორ ვეგებებით ბედნიერებას ან უბედურებას, მიზნის მიღწევას და იმედების გაცრუება-გაცუდება, ხიფათსა და დაბრკოლებას, რაიც ჩვენ ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე წინ გვხვდება. შეუძლებელია, ნივთიერად უზრუნველ-ყოფილს და საზოგადოდ ყოველის მხრივ ხელ-შემწყობ პირობებში მცხოვრებს ადამიანს შეუცდომლად აწონ-გაზომილი ჰქონდეს თავისი მოთმინება, გამბედაობა, სიმტკიცე ხასიათისა, ენერგია, დიდ-სულოვანება და სიყვარული. რამდენად

*) იხ. „მწყემსი“ № 10, 1904 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განუვითარებია მას ეს თვისებები—მხოლოდ გაჭირვების დროს იცნობება.

დასასრულ, ვისაც სურს გაიცნოს თავი თვისი, მან ყურადღება უნდა მიაქციოს, რამდენად იმონავებენ მას ცუდი მიდრეკილებები, ან რამდენად ძალ-უძს სძლიოს და ალაგმოს ისინი. ყველას ადვილად ჩაითრევს რაიმე ცოდვა. დიდი უნარი არაა ადამიანის მხრივ დაცვა კეთილსვინდისიერებისა, როდესაც მას შემთხვევა არ ეძლევა უსვინდისოთ მოქცეულიყო. „ეშმაკი (მაცდური) დაუძინებელი და მოუსვენარია“,—ამბობს ძველი ანდაზა. ადამიანს ხშირად ეძლევა შემთხვევა დაარღვიოს ზნეობრივი კანონი: ერთი გადუხვევს ზნეობის კანონს ენებათა აშლისგამო, მეორე—გაჭირვებისა ან სიმდიდრისა გამო, მესამეს ჩაითრევს პატივ-მოყვარეობა, მთავრობის მოყვარეობა და სხვა ამგვარი რამ. „ჩვენ გვღუპავს ის ცუდი მიდრეკილებები, რომელნიც უფრო გაძლიერებულნი არიან. ჩვენის თავისა ძრიელ მცირე ნდობა უნდა გვქონდეს. „გარს ბევრი ცთუნება (искушеніе) გვახვევია, მაგრამ უფრო მეტი ჩვენშივაა“.

ჩვენი სულიერი წყობილება შეგვიძლიან გავიცნოთ კიდევ იქიდან, თუ როგორ ვეპყრობით წაკითხულს, ან სცენაზე ნახულსა. როდესაც ჩვენ გავიგებთ რომანებიდან და დრამატიულ ნაწარმოებებიდან, რა ბრძოლაში ტრიალებენ მომქმედი პირები, მაშინ ჩვენ უნებლიეთ ვეკითხებით ჩვენს თავსა: როგორ მოვიქცეოდით ჩვენ ამის მსგავს შემთხვევაში.

კიდევ კარგი თუ ჩვენ სვინიდისიერს პასუხს მივცემთ ამ კითხვაზე და არკი შევწითლდებით სირცხვილისაგან. შიშს და თანაგრძნობას, რომელიც ჩვენში იბადება, გამოიწვევს არა მარტო მომქმედი პირი, არამედ თვითონ ჩვენვე: ჩვენ ვშიშობთ საკუთარი სისუსტისაგამო, თანაუგრძნობთ, ვიტანჯვით ადამიანის გახრწნილი ბუნებისაგამო.

მხოლოდ წიგნების კითხვის საშუალებით შეგვიძლიან გავიცნოთ ჩვენი საკუთარი არსება. ვინც თანაუგრძნობს მარკიზ პოზას, მაქს პიკოლომინის, ორესტის, ნეოპტოლომეოს, იფიგენის და ჟანნა დ'არკს*), მას უეჭველად აქვს მათთან საერთო თვისება. მომქმედი პირები სხვადასხვა ნაწარმოებებისა აღაფრთოვანებს მას და ისიც შეეცდება მათი მსგავსი შეიქმნეს.

გარდა ზემორე აღწერილ საშუალებათა, ჩვენი ხასიათი გამოიჩხრიკება იმით, თუ როგორ ვეგებებით სხვათა ბედნიერებასა და უბედურებას. თუ სხვისი ბედნიერება ჰბადებს ჩვენში შურსა, უბედურება და ტანჯვა-ვება—სიხარულსა, ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ზნეობრივი გრძნობა მდაბალი ხარისხისაა.

არის კიდევ ერთი გზა თვით-ცნობიერებისა—არ-დავიწყება და ნიადაგ ხსომვა, როგორ შევასრულებ ხოლმე საქმეს, რომელიც მოითხოვს ჩვეულებან ენერგიას, მუყაითობას, თანდათანურ მუშაობას, მოწადინებულს მეცადინეობას. ამის შემწეობით ჩვენ დავრწმუნდებოდით, რომ ხშირად ისეთ საქმეს ვჭიდებთ ხელსა, რომელიც ჩვენს ძალ-ღონეს აღემატება; ე. ი., რომლის შესრულების უნარი და შეძლება არ მოგვდგამს. ხშირად ადამიანი, პატივ-მოყვარეობის გრძნობით ან სარგებლობის სურვილით გატაცებული, სცდილობს ისეთი ადგილი დაიკაოს, რომელიც მოითხოვს მისთვის შეუძლებელ მუყაითობას და მოწადინებულ, ენერგიულ შრომა-მეცადინეობას. ვოლტერი ამბობს: „ბევრნი, რომელნიც ვერ მოჰრეგიან საძნელო საქმესა, მშვენივრად ასრულებენ ნაკლებად საძნელოსა“. ძნელად თუ ვისმეს ექნება იმდენი ძალა და სიმტკიცე ხასიათისა, რომ შეეძლოს, როგორც ეს მოიქმედა კაზიმირ პერიემ, უარი განაცხადოს მშვენიერი ადგილის მიღებაზე, სთქვას: «მე ამ ადგილის ღირსად არა ვცნობ ჩემ თავსა, რადგანაც იგი მოითხოვს ისეთ სამსახურს, რომელიც ჩემ ძალ-ღონესა და ნიჭს აღემატებაო». მართალია, ძლიერ ძნელია ასეთი უარის გამოცხადება, მაგრამ უფრო ძნელია ვიგრძნოთ ჩვენი სისუსტე, ვიგრძნოთ, რომ არ შეგვიძლიან წესიერად შესრულება იმ საქმისა, რომელსაც ჩვენ უკვე დავეჭედეთ. „ცხოვრება გამოაჩენს, დაანახვებს ყოველს, რა არის იგი“, ამბობს გოეტე.

ნ. ხ.—ჯ.

*) ესენი სულ ძველი და ახალი დროის კლასიკური ნაწარმოებების მომქმედი პირები (გმირები) არიან.

შენიშვ. მთარგმ.

† ესტატე ბესარიონის ძე ღამბაშიძე (ნეკროლოგი).

ივნისის 2-ს ნაშუადღევის ხუთ საათზედ, შემდეგ სასტიკი ავადმყოფობისა გარდაიცვალა ქუთაისში ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ესტატე ბესარიონისძე ღამბაშიძე. განსვენებული იყო ორმოცდა-თორმეტი წლის, მაგრამ იყო ძლიერ მხნე კაცი და ღონით სავსე. არავინ არ მოელოდა, რომ ასე ღონით სავსე კაცი ასე მალე გამოეთხოვებოდა ამ წუთის სოფელს. განსვენებული იყო მღვდლის შვილი, დაიბადა სოფელს შორაპნის მაზრაში. პირველი სწავლა მიიღო თავის ოჯახში და შემდეგ შევიდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მეოთხე კლასიდან ერთი წლით გაასწორა თავის ამხანაგებს, დაიკავა ეგზამენი თფილისის სემინარიის პირველ კლასში შესასვლელად, გააგრძელა სწავლა სემინარიაში და 1878 წელს გათავა პირველ მოწაფედ. მას შეეძლო აკადემიაში განეგრძო სწავლა, მაგრამ აღარ ისურვა, რადგან განსვენებულის აზრით ბევრნი მიილტვიან ხოლმე აკადემიაში არა საზოგადოების სამსახურისათვის, არამედ დიპლომის მისაღებად, რომ ბოლოს ამ დიპლომით დიდი ჯამაგირი მიიღოს და სხვა-და-სხვა უფლება შეიძინოს.

განსვენებული კურსის გათავების შემდეგ დაინიშნა ბერძნული ენის მასწავლებლად ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. ერთ დროს სულ მოსპეს ბერძნული ენა სასულიერო სასწავლებელში. ამ ენის გაუქმების შემდეგ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ის დანიშნეს ქართული ენის მასწავლებლად ძირა კლასებში. როცა ხელახლა შემოიღეს ბერძნული ენის სწავლება ამ სასწავლებელში მაშინ ისევ მოიწოდეს ამ ენის მასწავლებლად და ამ უკანასკნელ დღემდე ამ ენას ასწავლიდა განსვენებული. უკანასკნელ დროს განსვენებული ასრულებდა სასულიერო სასწავლებლის ინსპეკტორის თანამდებობას.

დღიდგან მასწავლებლად განწესებისა სასულიერო სასწავლებელში განსვენებული 25 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ მსახურებდა და ამ ხნის განმავლობაში ერთი კვირის დროის თავისუფლება არ ქონია. როცა სასწავლებელი დახურული იყო ზაფხულობით იგი როგორც თავისას ისე სხვების ბავშვებს ამზადებდა პირველი ენკენისთვისათვის სხვა-და-სხვა სასწავლებლებში შესასვლელად. ამ მეცადინობის გარდა თუ კიდევ რჩებოდა ცოტა თავისუფალი დრო განსვენებული მაშინ დღისით და ღამით თავის ოჯახურ საქმეს აწყობდა და განაგებდა. მზად იყო თავიანთ ახლო მახლო ნათესავებისთვისაც გაეწია სამსახური, მზად იყო ყველასათვის მეცა რჩევა, მეგობრული დარიგება და აღმოეჩინა, რითაც შეეძლო, დახმარება და შემწეობა.

უკანასკნელ დროს ამ აუტანელ ჯაფას დაემატა სხვა-და-სხვა უსიამოვნება ამა წუთი სოფლის წალმა-უკუღმა ტრიალობით გამოწვეული. კაცი ხომ რაინა არ არის სულ ნიადაგ გონებით მუშაკობამ გამოიწვია ისეთი სნეულება რომლის შემდეგ მისთვის ყ-დ შეუძლებელი იყო მაკადინობა გონებით მუშაობა, მასწავლობა. ორი სამი დღის შესვენების შემდეგ განსვენებული შეიქმნა კარგად და ისევ დაიწყო სიარული კლასში და შეუდგა მაკადინობას მოსწავლეებთან. კვლავ გახდა ავად ექიმების რჩევით დაწვა ლოგინად. დაიწყეს ექიმობა არა ერთმა არამედ რამდენიმემ. მაგრამ, საუბედუროდ განსვენებულისა და მის მოკეთეთა, ვერასოდეს ვერ შეთანხმდენ ერთმანეთში და ერთი ექიმის დარიგება და წამლობა არ იქმნა მეორესაგან შეწყნარებული. დამლის დაცვისაგან ავად გამხდარი გარდაიცვალა ფილტვის ანთებით. როგორც სხეულით მთელი კაცი სიცოცხლის ძალა არ დამბორჩილა კაცის სხეულის დამშლელს ძალებს; მაგრამ ორი თვის ავადმყოფობის შემდეგ 2-ს ივნისს ნაშუადღევის ხუთს საათზე დადგა კეთილშობილი კაცის გული, უკანასკნელად ამოისუნთქა და თან ჩაიტანა გამოუთქმელი შებრალება თავისი პატარა ბავშვებისა და მთელი ოჯახობისა.

დიდი მწუხარება გამოიწვია განსვენებულის გარდაცვალებამ ყველა მის ნაცნობთა შორის და ყველამ დიდი პატივი სცა განსვენებულს. განსვენება და დაკრძალვა იყო დანიშნული 4 ს ივნისს წმიდის გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე. პარასკევს 4 ივნისს დიდი საზოგადოება შეიკრიბა განსვენებულის სახლსა და ეზოში. თითქმის მთელმა ქუთაისის სამღვდელოებამ კათედრის წინამძღვრით დეკ. გაბრიელ ცაგარეიშვილის მეთაურობით პატივისცეს განსვენებულს, წესი აუგეს და გაუძღვენ წინ სასაფლაომდინ კარგა შორს არის რომელიც ეკლესიიდან. წესის აგების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს საჯარების წაკითხვის შემდეგ ბ. ბენაშვილმა წარმოსთქვა გრძნობიერი სიტყვა.

ყოველ ადამიანს, ქართველები იტყვიან, პირში სული უდგიაო. შენც, ჩემო კეთილო მეგობარო პირში სული გედგა, ვიდრე ქვეყნად სცხოვრობდი. დღეს სული შენ განშორდა სხეულსა და გაემგზავრა წიაღთა შინა აბრაამისათა, ხოლო ხორცი შენი დარჩა ამ ქვეყნად, რომელიც დღეს, საუბედურად, უნდა მივაბარონ შავს მიწას. ამიერიდგან, ჩემო ძვირფასო მეგობარო ესტატევ, ორივე შემთხვევა იგემე: სიცოცხლეცა და სიკვდილიც. რა იყო შენი ან სიცოცხლე ან სიკვდილი? სიცოცხლე შენი იყო სიკეთით და ნაყოფიერებით შემკული; აღასრულე მგოსნის სიტყვები: „რა არს ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი“, მხოლო სიკვდილი შენი ნათესავთა, ნაცნობთა, მეგობართა და აღმზრდელთა შორის სახელოვანი. აღსრულდა მგოსნისავე სიტყვები: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

25 წელიწადია, ჩემო მეგობარო ესტატევ, რაც შენ ობილისის სასულიერო სემინარია გაათავე; 25 წელიწადია, რაც შენ ქვეყნიერობაზე იღწვი. შენ აირჩიე და იკისრე ორი მოვალეობა: ოჯახი და მასწავლებლობა. ორივე მოვალეობა შენ, ჩემო მეგობარო, სახელოვანად ასრულე:—შენის მხნეობით, შენის ზნეობით, შენის გონებით იმ ნიადაგზედ დააყენე ერთიცა და მეორეც, რომ მტერსაც კი (თუკი შეიძლება ასე ითქვას, რადგან შენ მტერი არ გყოლია) არ შეეძლო რამე წუნი ეთქვა.

ოჯახისათვის შენ იყავი ნამდვილი მამა და ბურჯი. შენ შენის მხნეობით ააყენე და დაამშვენე როგორც გონებრიულად ისე ზნეობრიულად. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ულმობელმა სიკვდილმა უდროოდ გამოგესალმა წუთისოფელს, არ დაგაცალა გაგეწია შენ ნაყოფიერი მამობრიული მზრუნველობა იმ წვრილ შვილებისათვისაც, რომლებიც შენ დაგრჩნენ და რომლებიც საჭიროებენ შენს გონივრულ და ნაყოფიერ მზრუნველობას.

როგორიც იყავი საკუთარ შენის ოჯახისათვის ისეთივე იყავი შენს ხელში მყოფ აბალგაზრდა მასწავლეთათვის. მაოდამი შენ, ჩემო ძვირფასო ესტატევ, სრული მამობრიული მზრუნველობა გქონდა: მათი ჭირი ჭირად მიგაჩნდა და ლხინი ლხინად. შენ არ გვანდი ზოგიერთ იმ უცხო მასწავლებლებს, რომელნიც თავის მოვალეობას მხოლოდ ფორმალურად ასრულებენ; შენ არ გვანდი იმ მასწავლებლებს, რომელნიც თავის თავზე უფრო ზრუნვენ, ვიდრე თავის ნორჩ—ახალგაზდა მოსწავლეებზე. არა, ჩემო ესტატევ, შენ მათდამი სრული თანამგრძნობი იყავი; შენ მათ ზრდიდი როგორც გონებრიულად, ისე ზნეობრიულად; შენ გულით და სულით გწადდა, რომ თვითეული მათგანი ოჯახისთვის და ქვეყნისთვის შექმნილიყვნენ სასარგებლო და სასიამოვნო წევრებად. ხშირად, ძლიერ ხშირად (მე თვით მოწმე ვარ). გაკვეთილებს რომ გაათავებდი და, შენს პირად მოვალეობას ასრულებდი, ჩასდგებოდი დღ არიგებდი, ასწავლიდი, სწურთნიდი,—თუ როგორ მოქცეულიყვნენ ცხოვრებაში. როგორც გამოცდილი და დაკვირვებული კაცი, შენ უხატავდი და უსურათებდი ამ ქვეყნის ავ-კარგიანობას: ავს ავად აჩვენებდი და კარგს—კარგად. შენი სწავლა-დარიგება და ხელმძღვანელობა, ჩაიბეჭდა მათ ნორჩს გულში და მე თვითონ ბევრჯელ გამიგონია, სოფლად თუ ქალაქად,—თუ რა თანაგრძნობით და პატივით გიხსენიებდნენ ხოლმე შენმიერ შენს ხელში გამოზრდილნი. ბედნიერია ის მასწავლებელი, რომელსაც მის ხელში აღზრდილნი პატივითა და თანაგრძნობით იხსენიებენ! მცირეა მათი რიცხვი, მაგრამ მცირე რიცხვში შენც ურევიხარ, ჩემო ძვირფასო მეგობარო ესტატევ!

იტყვიან: სიკვდილი ყველასათვის სამწუხარო და სავალალოა. არა, ყველასათვის არ არის ასე. სიკვდილი სამწუხაროა იმისთანა კაცისთვის, რომელიც ამ ქვეყნად კეთილია და კეთილ ნაყოფს სთესავს—როგორც შენ; სიკვდილი სამწუხაროა იმისთვის, რომელიც კეთილ ნაყოფიერებით შემკული იყო და უდროოდ გამოესალმა წუთისოფელს, როგორც შენა; სიკვდილი სამწუხაროა იმათთვისაც, რომელნიც წარმოიდგენენ თუ არა მიცვალებულს, მოაგონდებათ მისი კეთილი ღვაწლი, ტკბილი და სიამოვნებით აღვსილი ცხოვრება; სიკვდილი სამწუხაროა მაშინ, როდესაც ყოველ სიკეთით აღვსილი კაცი უდროოდ გარდაიცვლება, როგორც შენ, ჩემო მეგობარო ესტატევ!

რით არის სამწუხარო იმ კაცის სიკვდილი, რომლის ცხოვრება სულ ამაოებაში და სიდუხჭირეში მიმდინარეობს; რით არის სამწუხარო სიკვდილი იმისთვის, რომელიც ხორცს ალაღებს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულს ამჭლევებს; რით არის სიკვდილი სამწუხარო იმისთვის, რომელიც გადაჰხედავს თუ არა თავის წარსულ ცხოვრებას, წარმოუდგება სრული უვარგისობა. ამისთანა ვვამი ხომ ემსგავსება იმისთანა ხეს, რომელსაც არც ნაყოფი აქვს, რომ კაცმა ისარგებლოს მისი ნაყოფით და არც ჩრდილი, რომ მის ქვეშ მაშვრალმა და სიცხისაგან შეწუხებულმა მუშაკმა თავი შეიფაროს არა ჩემო მეგობარო, კიდევ გავიმეორებ: შენ იყავი მაგალითი მაღალ ზნეობისა, ყოველ ნაყოფიერებისა და ფხიზელ-გონებისა. ამისთანა ბუნებით შემკულმა, შენ დიდი ნაყოფი გამოიღე შენ მიერ არჩეულ ცხოვრების ასპარეზზედ და დღეს, ვინც-კი შენ გიცნობდა: დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი მხურვალე გულით შეევედრებიან ღმერთსა ⸗ იტყვიან: ღმერთო, საუკუნო განსვენება მიეც ჩვენს ესტატეს და მეც მათთან გულწრფელად ვიტყვი: საუკუნო განსვენება მოგანიჭოს ღმერთმა ⸗ საუკუნოდ იყოს ხსენება შენი ჩვენს გულში, ჩემო ძვირფასო მეგობარო ესტატეს-"

წესის აგების გათავებისას მოსწავლემ... ჯაფარიძემ წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

აღარ დაგვინდო მუხთალმა ბედმა, არ შეგვიბრალა უწყალო სიკვდილმა და მოგვტაცა, თქვენი თავი. მოგვტაცა მედგარი მებრძოლი და მოწინააღმდეგე უსამართლობისა, რომელიც მზად იყო შეეწირა თავის სიცოცხლე, თვისი ჯანი საზოგადოების და ოჯახის საკეთილდღეოდ. თქვენ იყავით მაგალითი ყოველიფერ საქმეში. თქვენებრივ მუშამამები ბევრი ეჰვევრება ჩვენს სამშობლოს, რომ აღეზარდათ თვისი შვილები მამულის სასარგებლოდ, მაგრამ როგორც ვხედავთ ჩვენი ცსოვრების ჩარხი უკუღმა ტრიალებს, და ვხედავთ რომ თქვენისთანა მამები თან-და-თან გვაკლდებიან. თქვენ მიუძღოდით წინ თქვენს ცოლ-შვილს ყოველ გაჭირვების დროს, დასტრიალებდით თავზე, როგორც კეთილ სინდისიერი მეცხვარე დასტრიალებს თავს, თავის ცხვრის ფარას, რომ რომელიმე ნადირმა არა ავნოს რამე, და ასე შრომით გამოგვიზარდე და მოგვაწოდე გაჭირვების დროს შვილები, მაგრამ თქვენ, თვითონ რომლიდგანაც უფრო მეტს მოღვაწეობას მოველოდით მომავალში, სამუდამოდ მიგვატოვე; ბიან მომავალში უფრო მეტს მოველოდით თქვენი დაუდალავი შრომისაგან, მაგრამ აღარ დაგცალდათ, და ჯერ კიდევ ჯანით, ღონით და სიცოცხლით სავსე არსება მოგვტაცა, გამოგვასალმა თქვენს თავს ულმობელმა სიკვდილმა, და აქამომდის ბედნიერებით მაძღერალი გული ისე მაგრათ ჩაბღუჯნა თავის ბრჭყალებში, რომ შესწყვიტა ძგერა და სიცოცხლით სავსე თვალები სამუდამოდ დაგახუჭვია, დაგიობლდა ჯერეთ ნახევრათ ნორჩი ოჯახი, რომლის საკეთილდღეოდ დღე და ღამეს ასწორებდი, მწარე ოფლს ღვრიდი და ღმერთს ევედრებოდი; რომ თქვენს ხანგრძლივს შრომას ნაყოფი გამოეღოს, დიახ ეს ყოველიფერი ასე იქნება, თქვენი ოფლით მორწყული მიწა ინოყიერებს და გამოიღებს მშვენიერს ნაყოფს. მაგრამ თქვენ რა? თქვენ ვერ იგემებთ თქვენი შრომის ნაყოფს, თქვენ ვეღარ დასტკბებით აწი ცხოვრების ბედნიერებით, ვეღარ შემოუჯდებით ჩვეულებრივად შრომის შემდეგ მაგიდას საყვარელ ცოლ-შვილში და ვეღარ დაგიტკბობსთ ყურთა სმენას უმცროსი შვილის პატარა ლეკვნის ხმამაღლა ტიკტიკი, ვეღარ მიეშველებით გაჭირვების დროს თქვენს ცოლ-შვილს. მაგრამ თქვენს შრომას, ჯაფას, ოფლის ღვრას უნაყოფოთ არ ჩაუვლია. კარგი ხანია, რომ თქვენ თქვენის შრომით მოიხვეჭეთ დიდი პატივისცემა ხალხის გულში, კეთილი გულით, შრომის მოყვარეობით და პატიოსნებით, მოიგეთ ახალგაზრდა მოსწავლეების გული რომლების სათავეში დაიბინაკეთ და სცდილობდით გაგეღვუებიათ იმათ გულში ნაპერწკალი სამშობლოსადმი სიყვარულისა, მაგრამ აწი კი მოგიწყვიტა ცხოვრების უსამართლობამ ვარდი ბედნიერებისა და მასთან-ერთად გადაგისროლა შორს უფსკრულში, დიახ თქვენ აღარ არსებობთ აწი ამ ქვეყნიერათ, მაგრამ სახელი თქვენი წმინდა შეინახება ამ ჩვენს გულში, სანამ ჩვენი გულიც ისე არ გაცივდება, როგორც შენი გული პატიოსანო მუშაკო. ეხლა კი, როდესაც გვინდა მიგაბაროთ მიწას, რომელიც იქნება აწ თქვენი მფარველი, შემბრალებელი, ვდგევართ სამარის წინ ⸗ მწარე ცრემლები გვცვივა თვალებიდგან, ვგრძნობთ თუ რა განძი დაკარგეთ, თუ რა ბედის ვარსკვლავი მოსწყდა ჩვენი გულიდგან! ოჰ, ერთი გვქონდეს იმდენი ძალა რომ შევეტაკოთ თვით სიკვდილის უსამართლობას, და გამოგიხსნათ იმის რკინის ბრჭყალებიდგან, მაგრამ ეს არ ძალგვიძს! საუბედუროთ, დაგვრჩენია მხოლოდ-ღა ერთი ტირილი და ვაება. გაშმაგებული ჩვენი გული თხოულობს, რომ უკანასკნელად სამარის კარებთან კუბოშიდ დავეწაფოთ თქვენს გაცი-

ბულს გულ-მკერდსა, დაგიკოცნოთ შრომით მოლილული ხელები, ფიქრებით და დარდებით შეწუხებული შუბლი, დაგაპყროთ ცრემლები ულიცოცხლო სახეზე, ეგების შეინძრე, აახილო თვალი და გადაავლო თქვენგნით მიტოებულს ცოლ-შვილს და უკანასკნელად ლოცა მათ მშვიდობით—მაშინ ჩვენი გულიც ველარ გაუძლებს ამ დამტანჯველ სურათს და ერთბაშათ მოგაძახებთ ამ ჩვენ გულიდგან ჯავრით და ვაებით ამონახეთქს კაეშანით შებოჭილს სიტყვებს: „მშვიდობით პატიოსანო მუშაკო! შენ მოგანაჭეთ ამიერიდგან ცივი და ბნელი სამარე, და თქვენს სახელს კი დაუვიწყარს, ბინა დაუთმეთ ამ ჩვენს, თქვენგან, დაობლებულ გულ-მკერდში. მშვიდობით! საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ძვირფასო მასწავლებ-ლო.“

როცა კუბო მიასვენეს და ხალხი ემზადებოდა გამოსათხოვებლად ბ. ბოკერიამ წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

„აგერ რამოდენიმე დღეა, რაც შენ გაცვეთებულ-გალოდებული წვეხარ, და შენი უნუგეშო მდგომარეობა თავზარსა სცემს შენს უბედურ ცოლ-შვილს, გულს უდაგავს ნათესავთა და კეთილის მყოფელთ და უზომოდ აღონებს ნაცნობთ თუ უცნობთ. აი, კიდეც ღია სამარის კარი! რამოდენიმე წუთს შემდგ თითქო შენს დღეში არ გაგეველოს და არ გქონებოდეს ჩვენთან არავითარი კავშირი! მაშ რა დაგრჩა, რომ შენი სახელი აცხოველოს და დაუვიწყარ ჰყოს? რამ უნდა გაცოცხლოს, გაამგროს ის კავშირი, რომელიც გაერთებდა ჩვენთან? დასასრულ, რამ უნდა ანუგეშოს შენი უსწორო და უნუგეშო ცოლ-შვილი?.. აი საკითხი, რომელსაც შენმაგე განვლილმა და დღეს შეწყვეტილმა სიცოცხლემ უნდა უგოს პასუხი...

შკოლაში აღიზარდე და შკოლაშივე დალ.ე უკანასკნელი წუთები; მოსწავლიდან მასწავლებლად იქეც და მასწავლებლობას შესწირე სიცოცხლე; მასწავლებლობა შეიქმნა შენი ერთად ერთი საგანი, ყმაწვილთა მგრძნობიერად აღზრდა—ერთად ერთი მიზანია,—და მან გადაგიტანა თან. განა შეუძლიან გამოუცდელს წარმოდგენა იმ აუტანელი, შავი შრომისა, გულის ხეთქისა, სისხლის შრობისა და ყოველ დღე დასუული, მტვრიანი ჰაერის სუნთქვით სულის ხუთვისა, რომელსაც ეწევოდი და უძღებდი შენ?.. ძნელია, ძნელი ერთგული მასწავლებლობა!.. და ამიტომაც ბევრი ადრეეე შეველის თავს, ჰპოულობს მშვიდობიან ნავ-საყუდელს და იქ აზლვევებს თავის კეთილდღეობას. შენ-კი ეს ოცდა-ათი წელი არ იცოდი, თუ რა იყო მოსვენება; თავდავიწყებულისათვის არ არსებობდა არც გაზაფხული თავისი მშვენიერებით და არც ზაფხული თავისი აუტანელი სიცხე-სიმწვავით. შენმა მაგარმა ბუნებამ ღონემდის სძლია ვოველივე; მაგრამ დღეს, თითქო გაქანებული ნავი ტალღებმა კლდეზედ მიამსხვრიესო, შენც ცხოვრების შეუბრალებელმა, გიჟმა ტალღებმა უეცრად შეგმუსრეს ლ დაგამსხვრიეს!.. მერე რა დროს?.. იმ დროს, როცა შენი შვილები, დიდიდან პატარამდის, შენვე მიგყავდა ტაატით სწავლის გზაზედ. ჯერ არც ერთის მომავალი აწმყო სიბნელეში არ გამორკვეულა; ხოლო ერთად ერთი მათი გზის მანათობელი ლამპარი გაჰქრა სწორედ მაშინ, როცა შენი შვილების დღევანდელი მდგომარეობა ითხოვდა შენგან გაათკეცებულ მხნეობას. ნუთუ უღალატე წმინდა მოვალეობას—შვილების აღზრდა-განათლებას, სინიდისისა და სამშობლოს წინაშე პირნათლად ყოფნას?.. არა, არა! ჩვენ ვერ შეგწამებთ ასეთ ორგულობას!.. შენ მოკვდი აუტანელ ტვირთქვეშ, ხოლო შენი სიკვდილით ჩვენ აგვიხილე გონების თვალი და დაგვანახე ნათლად, თუ როგორია შრომა უზომოდ შეყვარებული, თავდავიწყებული, რომელსაც სწირავ სიცოცხლის უკანასკნელ წუთს... სამაგიეროდ შენი ნაშრომ-ნაღვაწი მრავლის წლისა ითვისებს, ისისხლ-ხორცებს შენს სახელს და ჰქმნის მას უკვდავად...

მაშასადამე, არა ხარ მკვდარი, ესტეტე, შენი მრავალ წლოვანი შრომა და ღვაწლი მარადის გაცოცხლებს შენ და გყოფენ უკვდავად; ხოლო ის მადლი, რომელიც შენგან უხვებით გამოვიდა, იგივე ნათლის-სვეტია, შენი შვიდი ობლის ბნელი გზის მანათობელი!..

მშვიდობით!.. გეთხოვებით გულდაწყვეტილნი, თვალ-ცრემლიანნი!.. საუკუნო იყოს ხსენება შენი, ძვირფასო ესტატე!

ამ სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე რადგან ეს სიტყვა თითქმის ყველას გულის პასუხი იყო, რომელნიც დაახლოვებით იცნობდენ განსვენებულს. სიტყვები დალექსები წარმოსთქვეს სხვებმაც მაგრამ ადგილის უქონლობისა გამო ისინი არ იბეჭდება.

განსვენებულის კუბოს ამშვენებდენ ათიოდე გვირგვინი სხვა-და-სხვა დაწესებულებათა და პირთაგან მოტანილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა კრება ქ. ჭუთაისში 15-22 დეკემბერს 1903 წ.

გაგრძელება *)

სამღვდელოების კრებამ ვერ მიიღო ჯეროვანი ანგარიში სანთლის ქარხნის გამგე კომიტეტისაგან. როგორც თვითონ კომიტეტი განაცხადებდა სანთლის შემოსავალს თუ მოკლებოდა თორემ არა მოუმატნიაო. ამასთან სამღვდელოებას გამოეცხადა, რომ სანთლის ქარხნისა და ამ ქარხნის საწყობისათვის სახლი დაქირავებია სადმე ქალაქში, რადგან ქარხნის სახლი ქალაქის უპრავის განკარგულებით დაეკეტათ უვარგისობისა გამო და სანთლის საწყობის ოთახის დაცლას მთავარ ანგელოზის ეკკლესიის კრებული ითხოვდა. კრების დროს სანთლის ქარხანა უკვე მოთავსებული იყო კანტრაგენტის ბოლქვაძისაგან დაქირავებულ, სახლში თეთრ ხიდ გაღმა. სწორეთ გასაკვირვლად მიიჩნია სამღვდელოებამ სანთლის ქარხნის გამგე კომიტეტისაგან ასე ადვილად მიტოვება სანთლის ქარხნის შენობისა. ამ შენობას არა უშავდა რა და არც ასე ადვილად დამგვრევის შიში არ მოელოდა. სამღვდელოებას ცოტა ფული არა აქვს დახარჯული ამ შენობის გადასაკეთებლად და რად მიატოვეს ასე აჩქარებით, სწორეთ გასაკვირველი იყო. დიდი ხანია კითხვაა აღძრული, რომ ეპარქიის სასწავლებლისათვის დასაცალონ ეს ადგილი და ქარხანა სადმე სხვაგან გადაიტანონ, მაგრამ არ უნდა ავიწყდებოდეს სასწავლებლის გამგეობას, რომ სანთლის ქარხანა და სასწავლებელიც სამღვდელოების არის და სასწავლებელი ხელს უნდა უწყობდეს სანთლის ქარხანას, რადგან კარგა ბლომად შემოსავალს იღებს ამ სანთლის ქარხნიდან. საქმე ისე იყო დაყენებული, რომ სანთლის ქარხნისათვის სახლი უნდა დაქირავებინა სამღვდელოებას სადმე ქალაქში. კარგად იცის ყველამ, რომ დღეს სახლის დაქირავება ქუთაისში და ისიც რიგიან ადგილზე და რიგიანი შენობა კარგა დიდ ფულს მოითხოვს სამღვდელოებისაგან. ბოლქვაძე, რომელსაც თავის სადგომ ბინაში მოუწყვია სანთლის ქარხანა სამღვდელოებას პირდებოდა, როგორც ამბობდენ ზოგიერთები, რომ სანთლის ქარხნის სახლის ქირას არ მოსთხოვდა, რასაკვირველია, თუ სამღვდელოება ნებას მისცემდა სანთლის ქარხნის გამგე კომიტეტს ძველებურად, მეთებურად კიდევ შეკროდა სანთლის დამზადებას სამის ან მეტის წლით. ამასთან მოხერხებით, როგორც ბოლოს გამოაშკარავდა, თხოვნები შემოეტანათ ზოგიერთ პირებს, რომელნიც სანთლის დამზადებას პირდებოდენ სამღვდელოების კრებას. სწორეთ ამ გაჭირვებულ დროს აღიძრა კითხვა სანთლის ქარხნის გახსნისა და დამზადებისა გელათის მონასტერში. მათმა მეუფემ იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდმა გამოუცხადა სამღვდელოების კრებას, რომ საუმჯობესოდ და საიმედო ადგილად მიიჩნია მას მონასტრის ადგილი სანთლის დამზადებისათვის. სანთლის დამზადების საქმე სწორეთ, სასარგებლოდ და შესაფერის საქმედ მიიჩნია მონასტრის მცხოვრებთათვის. მე ვგონებ, ბრძანებდა მათი მეუფება, სრულებით არ უნდა იყოს აქ შიში სანთლის ცვილის მოპარვისა, გამოცვლისა და სხვა რამ ცუდი მასალის შერევისა. მე ვგონებ გელათის მონასტერში ბინაც გამოინახება და სანთლის გათეთრებაც ბევრად გაადვილებული იქნება. მთელმა კრებამ აღტაცებით მიიღო მათი მეუფების წინადადება და დაადგინა: ძველ მოკანტრაქტესთან განაგრძოს სანთლის გემგე კომიტეტმა ამ წლის დამლევამდისინ სანთლის დამზადება; იქმნეს აღრჩეული კომიტეტი დეკ. დავით ღამბაშიძისა, მღვდელთ ტ. კაპანაძისა და სიმონ მჭედლიძისაგან, რომელთაც მიენდოს ამ საქმის გამოკვლევა და მოწყობა მომავალი 1905 წლიდგან.

ჩვენის აზრი თუ ეს საქმე როგორიმე გზით მოეწყო გელათის მონასტერში დიდად სასარგებლო იქნება სამღვდელოებისათვის, ვინაიდგან გელათის მონასტერში სამღვდელოებას აღარ დასჭირდება ხარჯი კომიტეტის წევრებისათვის და სრულებით მოისპობა ის შიში, რომელიც დღეს განსვენებას არ აძლევს როგორც კომიტეტს ისე სამღვდელოებას. მეორეს მხრით მონასტრის მცხოვრებთა მისცემს საქმეს და ამ საქმით საშუალებას აღმოუჩენს მათ თავის ცხოვრების გაუმჯობესობისას ნივთიერად. ღმერთმან ქნას, რომ ეს საქმე რიგიანად მოწყობილიყოს გელათის მონასტერში. ძლიერ სასურველია, რომ სანთლის დამზადება თვით ბერებმა და მონასტრის მცხოვრებთა შეისწავლონ...

დამსწრე.

(გაგრძელება იქნება).

*) იხ. „მწუმსი“ № 10

† ექიმი ს. ბ. თოფურია.

ჩვენ დაბეჭდილი გვქონდა ჩვენს გამოცემაში ექიმის ს. ბ. თოფურიას მძიმე ავთმყოფობა; ეხლა მივიღეთ ცნობა მის გარდაცვალებაზე.

მცირე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვლილა ჩვენი დაუღალავი და მეტად სასარგებლო მოღვაწე ქუთაისის საუკეთესო კერძო სამკურნალოს დამაარსებელი და გამგე სამსონ ბესარიონის ძე თოფურია. ასეთის ადამიანის დაკარგვა, რომელსაც, სამწუხაროდ, ძლიერ ცოტა ჰყავს მსგავსი, დიდი დასაკლისია ჩვენის ქვეყნისათვის; ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ სამსონ თოფურია შედარებით ჯერ ახალგაზრდა კაცი იყო და ამ დაუღალავ ენერგიის პატრონს კაცს კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო. საუბედუროდ, წლეულდელი წელიწადი ამ მხრივ მუხთალი გამოდგა ჩვენთვის: რამდენიმე მხნე მოღვაწე მოგვტაცა უწყალო სიკვდილმა.

მაბეჭლარი.

მიწას ზევით რაც არა სჩანს
მიწაშია დამარხული,
ეშმაკობით გატენილი
საბოროტოდ დასახული.
იბერება როგორც ტიკი,
ფიქრობს, არ ყავს თავის ტოლი,
ნამდვილად კი, ქვეყნისათვის
არის ლეში, მყრალი მძორი.
ნეტა რისთვის თავმომწონობს?!
ვიცნობთ ვინცა... ჭიასშვილი!..
ბუნებისგან მოძმეთ სავნოდ
გაჩენილი, დანიშნული...
თავს გაჩვენებს ანგელოსათ,
ეშმაკების არის ბუდე,
ვისაც ჰკითხავ, სულ ყველას სძაგს
ეგ ღვთის მტერი, ფლიდი, მრუდე.
სული არ სწამს, საიქიო,
საკაოდ ითბობს ხელსა,
მით ნეტარებს, როს უდანოდ
გამოუჭრის მოძმეს ყელსა.
სულის კაცად მიჩნეული
ხელობითა მაბეზღარი,
სიტყვით, საქმით, ქცევით, სახით
საძულელი, საზიზღარი.
ან კი რა ჰქნას, ბუნებისგან
ასე არის განაჭედი,
ჭურჭელია ბოროტების,
ამა სახეს დაჰერდით!
აგერ ფული მიაბარეს
შესანახად, დასაცველად,
მომპარესო, ცრემლი ღვარა
მართლა გულის დასაწველად.
ნაცნობები შეაწუხა:
დამიხსენით ბედ-კრულიო
შემეწიეთ ცოტ-ცოტა-რამ,
რომ შევამსო ის ფულიო.
თქმულა: „ოქროს სარტყლის მქონეც
რომ გეწვიოს მთხოვნელიო,
განიკითხეთ და მის ნაცვლად
ლმერთია გადამხდელიო.“
ეს თხოვნა, რომ შეუსრულეს
წვერცამეტა ჯაშუშასო,
ახლა ჰფიქრობს: ფლიდი ვიყავ,
ფლიდობა ვქენ რაუშავსო!
როგორა ვქნათ? ცრუ-ჯაშუში
მივიჩნიოთ კვლავ ღვთის კაცად?!
თუ დავთვალოთ ბელზებულად
და ულვაშებ გასაპარცად?
მიწას ზევით რაც არა სჩანს
მიწაშია დამარხული,
ეშმაკობით გატენილი
საბოროტოთ დასახული.

რ. ქართველისშვილი.

ბოგირდითა და შაბიამანით წამლობა ვაზისა.

როგორც ბ-ნ ნადიკვრელის, ისე ბ-ნ დიმიტრა-შვილის წერილი (იხილე „ცნ. ფურცელ“-ს №№ 2493 და 2517) საყურადღებოა არა მარტო კახელ მევენახეთათვის, არამედ ყველა სავენახე რაიონებ-ბისათვის, სადაც ვაზს გოგირდით და შაბიამნით წამლობა სჭირდება. იმერეთში ხან-და-ხან ნაცარი ანახეერებს ყურძნის მოსავალს და თანაც ვაზსაც ასუსტებს. ეს ორი-სამი წელიწადია, რაც აქ მიჰ-ვდნენ გოგირდით წამლობას, თორემ უწინ ან სულ არ სწამლობდნენ და თუ სწამლობდნენ, სრულიად უნაყოფოდ. მხოლოდ მაშინ მიაყრიდნენ გოგირდს, როცა მარცვლები სრულიად დასკდებოდა ხოლმე ნაცრისაგან, ისიც მხოლოდ მტევნებს, ფოთლებს ‍ ‍ ‍

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

„სტანდარტ“-ის კორესპონდენტი სწერს: 17 ივნისს კუნძულ მასუიმაზე რუსის ტყვეები ვნახე. იქაურ სამხედრო საავადმყოფოში სულ 306 დაჭრილი რუსი იწვა. მომეტებულ ნაწილად მსუბუქად იყვნენ დაჭრილნი. ამათგან 209 კაცი მთლად მორჩა; საავადმყოფოში ეხლა 12 აფიცერი, 37 უნტერ-აფიცერი და 49 სალდათი-ღაა. ავადმყოფებს კარგად ინახავენ და კარგად სწამლობენ. დაჭრილ რუსებს იაპონელი და ამერიკელი ქალები, მისიონერები და წითელ ჯვრის საზოგადოების წევრებიც უვლიან. კუნძულზე კარგა მყოფი რუსებიც ცხოვრობენ: 21 აფიცერია, 54 უნტერ-აფიცერი და 583 სალდათი. აფიცრებს საერთო ზალა და ცალ-ცალკე საწოლი აქვთ; სადგომს ახლო ბაღიც აქვთ. ესენი ყველაფერზე მადლიერები არიან, მხოლოდ იმას სჩივიან, რომ უდარაჯოდ ქალაქში არ გვიშვებენო. იაპონელები მეტად კარგად ეპყრობიან რუსებს და ხან-დახან საჩუქრებსაც უგზავნიან. უნტერ-აფიცრები და სალდათები ხუთ სახლში დგანან და ძლიერ ემადლიერებიან თავბიანთ ყოფას. ესენი მარტო იმასა სჩივიან, რომ საქმე არა გვაქვს-რაო. იაპონელი მოხელეები ამბობენ, რუსის სალდათები ძლიერ კარგად იქცევიანო. იაპონელები რუსის სალდათებსაც ხშირად უგზავნიან პაპიროზსა და სურათებიან გაზეთებს. 22 დაჭრილ რუსის მატროსიდან, 13 კაცი მორჩა ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ სამშობლოში წავიდა, დანარჩენნი-კი ორის თვის შემდეგ წავლენ. ტყვე რუსებს ამერიკელი მისიონერები და მართლმადიდებელი მღვდელი ხშირად ინახულებენ ხოლმე. კუნძული მასუიამაზე მეტად კარგი ჰაეაა. (რ. ლ.)

* * *

ინგლისელთ ამ ჟამად გაცხარებული ბრძოლა აქვთ ტიბეტელებთან. შორეულ-აღმოსავლეთის ომმა ჩაჩრდილა ინგლისელების ეს ახალი „ექსპედიციაც“: სხვა დროს ეს ამბავი დიდ აურზაურს გამოიწვევდა და დიდ სახელმწიფოთა ინტერესებს ერთმანეთს შეახეთქებდა. ნამეტურ რუსეთი დღევანდელივით გულგრილად არ მოეკიდებოდა ამ საქმეს, ომში რომ არ იყოს გართული, რადგან ტიბეტი რუსეთის იმპერიის მოსაზღვრეა აზიაში. დღეს კი, ჯერ-ჯერობით მაინც, ინგლისი დაუბრკოლებლივ ასრულებს თავის წადილს... რას წარმოადგენს ტიბეტი და რა უნდა მისგან ინგლისს ეს ყველამ კარგად იცის.

* * *

16 ივნისს, ნაშუადღევის 5 საათზე, მოსკოვში ძლიერი ქარი ამოვარდა. წვიმა მოვიდა და ისე დაბნელდა, რომ უსინათლოდ კითხვა არ შეუძლებელი ᲘᲧᲝ. ამ დროს ქალაქის განაპირა ადგილებში საშინელი უბედურება დატრიალდა. ლეფორტოს უბანში მძლავრი გრიგალი ასტყდა, მიწიდან გაანადგურა ანენგობის პატარა ტყე: ძირიან ფესვიანად მოსთხარა უზარმაზარი ხეები. ყველა სახლებში ჩამტვრეულია ფანჯრები, ბევრს მოგლეჯილი აქვს სახურავები; ბევრი სახლი სრულებით დანგრეულია. მოსკოვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს მუსრი გაავლო საშინელმა გრიგალმა, მოჰგლეჯა ქარხნებს 600 ფუთიანი საკვამლეები და რამდენიმე საჟენის მანძილზე გადაისროლა.

ქალაქის საავადმყოფოებში უკვე მიუყვანიათ 233 მძიმედ და მსუბუქად დაჭრილი მოსკოვის მცხოვრებელი. ჯერ-ჯერობით უნახავთ მოკლული 9 გვამი. ფიქრობენ, რომ ბევრნი ნანგრევებს ქვეშ არიან დამარხულნი. ერთი დანგრეული სახლი გათხარეს და იპოვეს შიშისაგან სულ-განაბული 9 წლის პატარა ბიჭი, რომელმაც მთელი ღამე გაატარა ნანგრევებს ქვეშ და, საბედნიეროდ, ცოცხალი გადარჩა.

მთელი მოსკოვის პოლიცია და ექიმები ფეხზე არიან დაყენებულნი. დანგრეულ სახლებს მრავალი მუშა ასევია.

საშინლად დაზარალდნენ გრიგალისაგან მოსკოვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე საგარაკო ადგილები. სოფ. ჩაგი სრულებით განადგურებულია. 6 საგარაკო ადგილი საშინლად არის დაზარალებული. სოფ. ლიუბლინოში დანგრეულია 60 საგარაკო სახლი და 80 დესიატინაზე ძირიან-ფესვიანად ამოთხრილია დიდრონი ხეები. გრიგალი იტაცებდა ქუჩებში ცხენებს და ბუმბულივით ატრიალებდა ჰაერში.

მრავალი ხალხი დაშავდა და დაიჭრა სოფლებში და საგარაკო ადგილებში. დაიჭრა და დაიღუპა მრავალი საქონელი.

მოსკოვის დანგრეული ნაწილი უდაბნოს წარმოადგენს.

ხმა დადის, ვითომ ინგლისი და ამერიკა რუსეთისა და იაპონიის შერიგებას სცდილობენო. „ტაიმს“-ის კორესპონდენტი იუწყება: იაპონური გაზეთები სწერენ, იაპონელები უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ; სანამ ფულის ხსენება მთლად არ გაუწყდებათ, არავის დახმარებასა ტ შუამავლობას არ დასთანხმდებიანო. (რ. ს.)

სუბპარი იაპონელ დიპლომატთან. ფრანგულ გაზ. „მატენ“-ის კორესპონდენტს ლონდონში იაპონელი დიპლომატი ბარონს სუემასუ უნახავს და ეხლანდელ ომზე უსაუბრნია. იაპონელ სახელმწიფო მოღვაწეს უთქვამს: ჩვენი საქმე სამხედრო მოქმედების ასპარეზზე საკმაოდ კარგად მიდის, ძლიერ მამაც და მედგარ მოწინააღმდეგესთან გვაქვს საქმე. უნდა მოგახსენოთ, რომ მთელი იაპონია პატივისცემით იხსენიებს რუსის აფიცრებსა და სალდათებს. ამ ომის დროს რუსებმა საკვირველი მამაცობა და მედგრობა გამოიჩინეს. იაპონელები საფრანგეთის ხალხივით რაინდული ხალხია და დიდად აფასებს რუსის ჯარის სიმამაცეს. გენ. კუროპატკინსაც კარგად იცნობს ჩვენი ხალხი და დიდ პატივსა სცემს, როგორც კაცსა და როგორც სარდალს. ამისთანა სარდალი ყველა ევროპიელ ჯარს დამშვენებდა, იაპონიის საელჩოს ლონდონში არაფერი ცნობა არ მოჰსვლია პორტ-არტურიდან, მაგრამ ყოველ წამს-კი მოელიან. გაზეთებიდან ვიცით, რომ ჩვენი ჯარი ხმელეთიდან და ფლოტი ზღვიდან ერთსა და იმავე დროს დაეცემიან პორ-არტურს. მგონია, პორტ-არტურთან ჩვენ 100 ათასი ჯარის-კაცი გვეყოლება, რუსებს-კი პორტ-არტურში 20 ათასი კაცი ეყოლებათ. მგონია, რომ ჩვენ ჯარს პორტ-არტურის შტურმის დროს დიდი ზარალი მოუვა...

—პორტ-არტურის აღების შემდეგ რას იზამს თქვენი ჯარი, რუსის უმთავრეს ჯარს დაეცემა, თუ არა?

—საიდან იცით, რომ ჩვენი ჯარი ეხლავე, პორტ-არტურის აღებამდეც, იერიშს არ მიიტანს რუსის უმთავრეს ჯარზე?

—ბერე რაღასა იქმთ, ხარბინისკენ გაილაშქრებთ?

—ეგ აღარ ვიცი. ლიაოიანიდან მეტად შორსაა ხარბინამდე.

— იქნება მუკდენში გაჰმაგრდეთ?

—არა, ჩვენი ჯარი მუკდენის ჩრდილოეთით დაიპერს მაგარ სტრატეგიულ პოზიციებს.

—მართალია, რომ იაპონელები ცლადივასტოკსაც ალყას შემოარტყმენო?

—იქნება ეგეც მართალი იყოს.

—ვსთქვათ, ყველკან გაიმარჯვეთ,—ამდენ პოზიციაზე გამაგრებასა, რუსის ჯართან ბრძოლასა და ასეთ დიდ მანძილზე გაფანტულ ჯარის კვებას რანაირად მოახერხებთ? რის იმედი გაქვთ?

—ყველა ეგ წინადვე მოვიფიქრეთ და მოვისაზრეთ, ომისათვის რომ ვემზადებოდით. (ბ. ვ.)

უცხოეთის ბრესის აზრა პორტ-არტურზე. გერმანელი სამხედრო მწერალი „პრუსიელი აფიცერი“ სწერს „ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ში: რუსები, უეჭველად, მედგრად დაიცავენ პორტ-არტურს. მალე დიდი სისხლის ღვრა და მეტად გმირული ბრძოლა მოხდება. იაპონელები და რუსები გიჟურ გმირობას გამოიჩენენ. იაპონელები გალომებულები დაეცემიან ციხეს, რუსებიც უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ და ყოველ ფეხის გადადგმას მედგრად დაიცავენ. ყველანი დავინახავთ, რომ ამ ქვეყნიერობაზე გულადი ხალხი არ გამოლეულა. მაგრამ მაინც ისეთი ბრძოლა და ისეთი სამხედრო ხერხი სულაც არაა ჭკუაში მოსასვლელი. კარგი სარდალი თავდაპირველად იმას უნდა ეცადოს, რომ რაც შეიძლება ნაკლები ჯარი დააკლდეს და უფრო ხერხით გაიმარჯვოს და არა ძალით. მაგრამ იაპონელები პორტ-არტურთან ისე დინჯათ და ფრთხილად ვეღარ მოიქცევიან, როგორც იალუზე მოიქცნენ... 10 წლის წინად იაპონელებმა ეს ციხე შტურმით აიღეს და მერე-კი რუსებმა ხელი ააღებინათ და თითონ დაიპირა. პორტ-არტურის დაკარგვამ გული დასწყვიტა იაპონიის ხალხს. მე კარგად ვიცნობ იაპონელს. ყოველთვის იღიმება, მაშინაც-კი, როცა უსიამოვნო რამეს ეუბნებიან, მაგრამ თუ ლაპარაკი პორტ-არტურზე ჩამოუგდეთ, იმის სახეზე ღიმილის ნასახს ვეღარ დაინახავთ. არა მგონია, იაპონელები ეხლა ომის დროს უფრო დინჯად, გულგრილად უცქერდნენ პორტ-არტურს...

ცნობილი ფრანგი სამხედრო მწერალი ერნსტ ჟიუდი სწერს: პორტ-არტურში რუსის ესკადრა დგას. ამიტომ იაპონიის ჯარსა და ფლოტს თავდაპირველად ამ ციხის აღება დაავალეს. თუ ეს საქმე ასრულეს, მაშინ ბალტიის ესკადრას დიდ ოკეანეში

ბინა აღარ ექნება. პორტ-არტურის აღებას მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება შორეულ აღმოსავლეთისათვის. მთელი ჩინეთი კიდით კიდემდე შეირყევა და ვინ იცის, მაშინ რა ამბები მოხდება... ყოველმა იაპონელმა ჯარის-კაცმა იცის ეს ამბავი და ამიტომ ცინჯოუს შტურმის დროსაც ასეთი საკვირველი თავგანწირულება გამოიჩინა... ერთის სიტყვით პორტ-არტურთან ისეთი გასაოცარი ბრძოლა მოხდება, რომ იქნება ამაზედ უფრო სერიოზული ბრძოლა და დიდი სისხლის ღვრა მსოფლიო ისტორიაშიაც არ მომხდარიყოს. (რ. ლ.).

ომის ამბები. იტალიურ გაზ. „ტრიბუნა"-ს დეპეშით ატყობინებენ ჩიფუდან: უკანასკნელ კვირის განმავლობაში იაპონელები ყოველ დღე ზარბაზანს უშენენ პორტ-არტურს; პორტ-არტურის დასავლეთი ნაწილი თითქმის დანგრიეს, რამდენიმე სამხედრო გემიც დაზიანესო.

მცოდნე და ნდობის ღირსი ინგლისელები ანგარიშობენ, იაპონიას ომზე დიდი ფული როდი ეხარჯებაო. ყოველ დივიზიის შენახვა ომის ასპარეზზე 2 მილიონი იენა უჯდება თვეში. იაპონია 13 დივიზიას გაიყვანს საბრძოლველად, ასე რომ მთელის ჯარის შესანახად თვეში 25 მილიონი იენი დასჭირდება; ფლოტის შენახვაც თვეში ბევრი-ბევრი ათი მილიონი იენი უჯდება. ასე რომ იაპონიას 1905 წლის აპრილამდე, ან მაისამდე ახალი სესხის აღება არ დასჭირდებაო. (რ. ს.)

ბევრნი ამბობენ, იაპონია მძლავრ რუსეთთან ომს დიდხანს ვერ შესძლებს. ფული მალე შემოაკლდებაო. ინგლისური ეკონომიური ჟურნალი «სტატისტიკა»-ი არ ეთანხმება ამ აზრს. ჟურნალი სწერს: ინგლისი 1793 წლიდან 1815 წლამდე ეომა ნაპოლეონ I და სანამ თავისი არ გაიტანა, არ მოეშო. იმ დროინდელ ინგლისს სამჯერ ნაკლები ხალხი ჰყავდა, ვიდრე ეხლანდელ იაპონიას; სახელმწიფო ვალი სამჯერ მეტი ჰქონდა და არც ისეთი გაჩაღებული აღებ-მიცემობა ჰქონდა, როგორც ეხლა იაპონიას აქვს. ტ თუ მაშინდელმა ინგლისმა შესძლო იმდენ ხანს ომი და არ მოეშო, სანამ ნაპოლეონ I ვატერლოოსთან არ დაამარცხა, მაშ იაპონიასაც არ გაუჭირდება, თუ საჭირო იქნება, დიდ-სანს ეომოს რუსეთს და არ შეურიგდეს, სანამ თავისას არ გაიტანს. (ბ. ვ.).

ჩინელი გენერალი მა პუნგჩაუსთან დგას და 40 ათასი ჯარის კაცი ჰყავს. ამბობენ, ჩინელმა სარდალმა ახალი მაშველი ჯარი მოითხოვაო. ჩინელები მეტად ორგოფად იქცევიანო. (რ. ს.)

ერთ იაპონელ გამოჩენილ სახელმწიფო კაცს ტოკიოში უთქვამს „სტანდარდ"-ის თანამშრომლისათვის: „რუსეთში ეგონათ, პირველი—იაპონელებს ეშინიათ რუსეთისაო, მეორე—იაპონელი ბრძოლის დროს ვერას გახდება რუსეთის სალდათთანაო და მესამე—იაპონია უფულობით დიდ-ხანს ვერ შესძლებს ომსაო. პირველი ორი ფიქრი ხომ გაუცრუვდათ კიდეც, რუსეთში მალე დარწმუნდებიან, რომ მესამე ფიქრიც შემცდარი ყოფილაო. (ნ. დ.)

ინგლისური გაზეთი „სტანდარტ"-ი სწერს: რუსულ ოფიციალურ ცნობების თანახმად, ომის დაწყების დღიდან 26 მაისამდე რუსებს შემდეგი ზარალი მოუვიდათ: მოუკლეს—44 მეზღვაური აფიცერი, 920 მატროსი, 36 ჯარის აფიცერი და 920 სალდათი. დაუჭრეს: 13 მეზღვაური აფიცერი, 1,020 მატროსი, 103 ჯარის აფიცერი და 2,080 სალდათი; ტყვედ წაიყვანეს—20 აფიცერი და 700 სალდათი. (რ. ლ.)

ახალი ამბები და შენიშვნები.

*** «ვოლფის სააგენტო» იუწყება ტოკიოდან, ლიაოდუნის ნახევარ კუნძულზე მყოფ იაპონიის არმიის სარდალი ოფიციალურად იუწყება: 1 ივნისს იაპონიის უმთავრესი ჯარები გაემართნენ ორ წყებად ჩრდილოეთისაკენ, რკინის გზის გაყოლებით და უკუ აქციეს რუსის ჯარი ვაფანდიანის აღმოსავლეთით მდებარე ადგილებიდან. ნაშუადღევის ხუთ საათზე მტერი შესდგა, შეჰკრა მოსაგერებელი წრე ლუნვანშია—ტაფანჩენთან. დაღამებისას იაპონელებმა ზარბაზნების სროლის შემდეგ პონშიტოუ-იუპოტოუს წრე დაიჭირეს. მეორე რაზმი, რომელსაც რუსების მარჯვენა ფრთა უნდა შეეწუხებინა და ამასთანავე დაეცვა იაპონელთა ჯარის ზურგი, წინ მიდიოდა ფუჯოსეს აღმოსავლეთით და გავიდა ტენშიაკოუ—ნაშიალინის წრეზე. რუსებს ლიუენვანის მახლობლად მაშველი ჯარი შეუერთდა. 2 ივნისს

რუსებმა $2^1/_2$ დივიზიამდე, რომელიც ტელისუს მახლობლად იდგნენ, დაიჭირეს დაფანგოუსა და ჩენსუ-ჩანის შუა პოზიცია. გათენებისათანავე იაპონელებმა მტერს შეუტიეს. უმთავრესი ჯარი რკინის გზის გაყოლებით მიდიოდა წინ, მეორე რაზმი-კი სუშიატუს მხრით. დილის 9 საათზე მიუახლოვდა რაზმი, რომელიც შეადგენდა მარცხენა ფრთას. შუადღისას მანშუატუნის მხრით ცხენოსანი ჯარი მტერს ეკვეთა; ამნაირად რუსები ყოველის მხრით ალყა-შემორტყმულნი დარჩნენ ტელისუს მახლობლად ნაშუადღეკის 3 საათზე და ცხარე ბრძოლის შემდეგ ძლეულ იქმნენ და სამხრეთისაკენ დაიხიეს. მოსულ ცნობებით იაპონელებმა დაჰკარგეს 1000 კაცზე ნაკლები. რუსებს წაართვეს 14 მსწრაფლ მსროლელი ზარბაზანი და ტყვედ ჩაიგდეს ხელში 300 კაცი, მათ შორის მე-4 მსროლელ პოლკის უფროსიც. ბრძოლის შემდეგ რუსებმა დასტოვეს 500 კაცზე მეტი დაჭრილი და მოკლული.

* * * მამა იოანე კრონშტატელს მიუმართავს კრონშტადტის სამხედრო გუბერნატორისათვის: „მომეხმარეთ, თავიდან მომაშორეთ ვიღაც მისიუროვის ქალი, რომელსაც ბევრჯელ უსიამოვნება მოუყენებია ჩემთვის, არა მარტო სიტყვით, არამედ მოქმედებითაკაო“. რა წამს გამოჩნდება ხალხში მამა იოანნე, ეს ქალი მაშინათვე მივარდება თურმე, ყვირის და ცდილობს რამენაირად უკბინოს, რომ მისი სისხლი მოიცხოს. ამ რამდენიმე წლის წინად მისიუროვის ქალმა თითში უკბინა მამა იოანეს და ისე ატკინა თითი, რომ მამა იოანნე რამდენსამე დღეს გარედ ვერ გამოდიოდა. მისიუროვის ქალი რამდენჯერმე გაუგზავნიათ თავის სამშობლოში, არხანგელსკში, მაგრამ იგი ისევ დაბრუნებულა მამა იოანნეს შესაწუხებლად.

მისიუროვის ქალი მამა იოანნეს თხოვნის შემდეგ ისევ დაუჭერიათ და ჩვენება ჩამოურთმევიათ. ქალს უთქვამს, მამა იოანნეს იმიტომ გადავემტერე, რომ მონასტერში არ მიმიღოო.

ჰფიქრობენ, რომ ეს უცნაური ქალი სულით ავადყოფი უნდა იყოსო. (.ცნ. ფურ.“).

* * * თბილისის სასულიერო სემინარიაში 31 მაისს მოწაფენი დაითხოვეს საზაფხულოდ. წელს სწავლა დაამთავრა 25 კაცმა. ათმა რუსმა, ოთხმა ბერძენმა და თერთმეტმა შემდეგმა ქართველმა: პირველის ხარისხით: ბიქტორ თევზაიამ, აბრამ გოგნიაშვილმა და დავით ონიაშვილმა. მეორე ხარისხით: დავით პაპიტაშვილმა, ივანე ჟანდიაშვილმა, გიორგი სალარიძემ, ნიკოლოზ ხატისკაცმა, ბაგრატ ბიბილაურმა, ნიკოლოზ პეტრიაშვილმა, სვიმონ ჯაოშვილმა და ხარლამპი ბალუაშვილმა. სემინარიის მთავრობა აკადემიაში სახელმწიფო ხარჯით ჰგზავნის ერთ ქართველს—ბიქტორ თევზაიას.

* * * ენკენისთვიდან გამოვა პეტერბურგში ფინანსთა მინისტრის თანაშემწედ ნამყოფ ვ. კოვალევსკის რედაქტორობით დიდი გაზეთი „მე XX საუკუნე“, რომლის უმთავრესი საგანი ეკონომიური საკითხები იქნება.

* * * რუსული გაზეთები იუწყებიან, რომ ლიაოიანში, სადაც რუსების უმთავრესი ჯარია თავმოყრილი, დიდი სიძვირე ყოფილა სურსათისა. მ. გ. ლითად 1 გირვანქა შაქარი—45 კ. ღირს, $1^1/_2$ გირვანქა პური 15 კაპ., 1 ფუთი კარტოფილი—4 მან. 1 გირ. სიმინდის ფქვილი—12 კაპ., 1 გირ. სარეცხი საპონი—30 კაპ. და სხვ.

* * * 3 ივნისს სალამოთი გენერალ-ადიუტანტმა კუროპატკინმა ნახა ვაფანგოუსთან 1 და 2 ივნისს დაჭრილნი. დაჭრილნი ორის მატარებლით მოიყვანეს ლიაოიანში. გენერალი კუროპატკინი ესაუბრა დაჭრილებს და ხელმწიფე იმპერატორის სახელით დააჯილდოვა აფიცრები ⁊ სალდათები. ავადმყოფნი კარგად მოაწყეს. აფიცრები ურჩხვად ამბობენ, რომ სალდათები მამაცად იბრძოდნენო. არტილერია ბოლომდე ასრულებდა თავის მოვალეობას. ბატარეებთან მყოფნი რამდენჯერმე გამოიცვალნენ. პირველ ბრიგადის მეოთხე ბატარეიას ბრძოლის დასასრულ უფროსობდა ფეიერვერკერი პოშკინი. პირველ ივნისის ბრძოლაში მოკლულ და დაჭრილ იქმნა 22 აფიცერი და 311 სალდათი. ამ რიცხვიდან პირველ პოლკისა იყო 12 აფიცერი და 200 სალდათი. ყველა სწუხს უფროსის პოლკოვნიკის ხვასტუნოვის დაკარგვის გამო, ხვასტუნოვი წინ მიუძღოდა პოლკს.

* * * უქვეშევრდომილესი დეპეშა ვიცე-ადმირალის სკრიდლოვისა, 6 ივნისს, 1904 წ.: «უქვეშევრდომილესად ვაუწყებ თქვენს უდიდებულესობას, რომ 2 ივნისს, დილით, კორეის სრუტეში ჩვენ კრეისერთა რაზმმა აღმოაჩინა სამხრეთიდან იაპონიის ნაპირებისაკენ მიმავალი იაპონელთა ტრანსპორტი. დაინახა შორიდან, დაეწია და როცა გასინჯა, აღმოჩნდა, რომ ტრანსპორტი «იკუმიმარუ» იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსპორტზე ჯარის კაცები იყვნენ. ნავების ჩამოსაშვებად და ტრანსპორტის დასატოვებლად დანიშნული დრო რომ გავიდა, რომლითაც მეზღვაურთა ერთმა ნაწილმა ისარგებლა, ტრანსპორტი დავდუპეთ ზარბაზნების სროლით. მალე სამხრეთ-აღმოსავლეთიდან გამოჩნდა ორი ტრანსპორტი, როგორც შემდეგ შევიტყვეთ «ხიტაშიმარუ» და „სოდომარუ“. პირველზე ჯარი იყო, მეორეზე კი—მუშები, ცხენები და რკინის გზის მასალა. იაპონელები არ დაგვნებდნენ და როცა ნავებზე ხალხის გადმოსხმისათვის დანიშნული დრო გავიდა, ორივე ტრანსპორტი დავდუპეთ ნაღმებით და ზარბაზნების სროლით. იაპონელთა ზარალი: სამი ტრანსპორტი, 15,000 ტონისა, ერთი ნაწილი ჯარისა და კამანდისა, რომელნიც გემებზე იყვნენ და დიდ-ძალი სამხედრო სურსათი და რკინის გზის მასალა. 3 ივნისს იაპონიის ნაპირებთან შეეხვედით ინგლისის გემს «ალლანტანს», რომელსაც 6,000 ტონნაზე მეტი ქვა-ნახშირი მოჰქონდა მორორანის ნავთსადგურიდან (კუნძულ ხოკაიდოზეა) და სამხრეთისკენ მიდიოდა. ქალალდები და სავახტო ჟურნალი წესიერად არა ჰქონდა შედგენილი. რადგან საეჭვოდ მივიჩნიეთ, რომ გემს სანეიტრალო საქონელი მოჰქონდა, ლეიტენანტ პეტროვის უფროსობით და 10 ჯარის კაცით გავგზავნეთ გემი ვლადივოსტოკში, გემი უკვე მივიდა იქა და ადგილობრივი საზღვაო სასამართლო განიხილავს ამ საქმის გარემოებას.

*** უმაღლესის ნებართვით გენერალ-ადიუტანტმა კუროპატკინმა დაარსა ლიაოიანში გაზეთი „ვესტნიკ მანჯურსკოი არმიი“, იმ განზრახვით, რომ მიაწოდოს ჯარს ბეჯითი და ჩქარი ცნობები და დააბრკოლოს ომის შესახებ ყალბ ცნობების გავრცელება; გაზეთს ჰგზავნიან ყველა რაზმებში სამხედრო ან სწრაფის ფოსტით; სტამბა, კანტორა და რედაქცია ვაგონშია მოთავსებული, მუშაობაც იქვე სწარმოებს; ეს ვაგონები არმიას გაჰყვება. „ვესტნიკი“ კვირაში სამჯერ გამოდის. უკვე ხუთი ნომერი გამოვიდა. დღეს გამოცხადებულია ხელის მოწერა ამ გაზეთზე. იმპერიის ყველა ადგილებში, მანჯურიაში და საზღვარ გარედ ნახევარი წლით გაზეთი 6 მან. ღირს. „ვესტნიკს“ ლიაოიანში დიდი გასავალი აქვს. თანამშრომლობენ არმიის აფიცრები და სამხედრო კორესპონდენტები; რედაქტორად დანიშნულია ჩინეთთან ომის დროს სამხედრო კორესპონდენტად ნამყოფი იანჩევეცკი.—დარი წახდა. განუწყვეტლივ წვიმს; გზებზე გაუვალი ტალახია, რაიცა დიდის ხნით დააბრკოლებს იაპონელთა მოძრაობას.

*** სიუიანიდან გამოსულ იაპონელებმა 3 ივნისს სინკალინი დაიპყრეს. ეს სოფელი მდებარეობს სიუიანიდან დასავლეთით, 23 მილის სიშორეზე.

*** ვაფანგოუსთან მომხდარ ბრძოლის დროს იაპონელთ 50 ზარბაზნიდან დაუშინეს ყუმბარები რუსების პოზიციას. ბრძოლის ბედი არტილერიამ გადასწყვიტა. რუსებმა მარცხენა მხარედან მოუარეს იაპონელთ, მაგრამ იაპონელებმაც პირი იბრუნეს და წინ გაემართნენ შესანიშნავად გამაგრებულ პოზიციაზე იერიშის მისატანად. რუსის ჯარის სულიერი მდგომარეობა მშვენიერია. გენერალმა კუროპატკინმა ბრძანება გამოსცა, რომლითაც ჯარებს სთხოვს, ჩემდამი გრძნობას ნუ დაჰკარგავთო.—პორტ-არტურის წინ იაპონელები დიდ საალყო ზარბაზნებსა სდგამენ.—ვაფანგოუდან რუსების უკან დაწევა და იაპონელების წინ წასვლა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთით კიდევ მოხდება დიდი ბრძოლა.—მუკდენში დიდი სამხედრო მზადებაა.

*** გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა, 5 ივნისს 1904 წელს: „გენერალი შტაკელბერგი იუწყება, რომ იაპონელები ვაფანგოუდან წინ არ წაწეულანო. ცნობებია, რომ იმათი ჯარი ვაფანგოუ-ფუჯოუს გაყოლებაზე ეწყობა საომრად. რუსის ჯარი ორი დღე იბრძოდა და ორი ღამე გადადიოდა ძნელად სავლელ მთის გზებით. ამ ბრძოლისა და სიარულის შემდეგ ჯარმა შესვენება მოასწრო. მებრძოლნი მხნედ არიან. ჯერ ვერ მოვასწარით ნამდვილ ცნობების შეკრება მოკლულთა და დაჭრილთა შესახებ, ვიცით მხოლოდ შემდეგი: აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელთა დივიზიის პოლკებში რუსის აფიცერი მოჰკლეს 15, დასჭრეს 49, ბრძოლის ველზე დარჩა (არ არის ცნობები—მოკლულია თუ დაჭრილი)—12; სალდათი მოჰკლეს 386, დასჭრეს—992, ბრძოლის ველზე დარჩა 568; მე-33, 35 36 პოლკებში მოჰკლეს ერთი აფიცერი და 120 სალდათი; დასჭრეს 19 აფიცერი და 604 სალდათი, ბრძოლის ველზე დარჩა (არ არის ცნობილი—მოკლული თუ დაჭრილი) 96 სალდათი; პირველ საარტილერიო ბრიგადამ დაჰკარგა 10 აფიცერი და 103 სალდათი;

მე-9 საარტილერიო ბრიგადამ—ერთი აფიცერი და 25 სალდათი; ტობოლსკის პოლკში მოჰკლეს ერთი აფიცერი და 3 სალდათი, დასჭრეს ერთი აფიცერი და 40 სალდათი; უკვალოდ დაიკარგა სამი კაცი; მორშანსკის პოლკში მოჰკლეს (?) 6 აფიცერი და 11 სალდათი, დასჭრეს—131, უკვალოდ დაიკარგა —რვა".

*** დაგუშანში მყოფ იაპონიის უმთავრეს ჯარიდან 5 ივნისს გაგზავნილი ქვეითა ჯარისა და კავალერიის მოწინავე რაზმი იუწყება, რომ მიუახლოდა რუსების ჯარს ჩაპაილინთან, სიუანიდან დასავლეთით 36 მილის მანძილზე. 7 ივნისს რუსების გემები არ გამოჩენილან კორეის სრუტეში; ფიქრობენ, რომ ისინი ჩრდილოეთისაკენ წავიდნენ. ვაფანგოუსთან მომხდარ ბრძოლაში რუსებს მოუკლეს 2 ათასზე მეტი კაცი. მარშალი ოიამა დაინიშნა მანჯურიაში მეფის მოადგილედ და მანჯურიაში მომქმედ ყველა ჯარების გენერალისიმუსად. გენ. კოდამა შტაბის უფროსად დაინიშნა. ამ მოკლე ხანში ისინი ომის ასპარეზზე წავლენ. მარშალი იამაგატა დარჩება ტოკიოში, როგორც უმთავრეს შტაბის უფროსი.

*** როგორც «რუსკი ინვალიდ»-შია გამოცხადებული, 21 მაისს, მანჯურიაში, სოფელ იუძიატუნთან მომხდარ ბრძოლაში მსუბუქად დაჭრილა აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელთა მე-35 პოლკის კაპიტანი ილია ჩხიკვიშვილი.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზიდან ციმბირის გზაზე ძლიერ ბევრ მოსამსახურეს ჰგზავნიან: მემანქანეებს, კონდუქტორებს, მეისრეებს, სადგურის უფროსებს და იმათ თანაშემწეებს.

*** კავკავიდან ატყობინებენ „ცნ. ფურცელს" 4 ივნისს, ღამე, კავკავიდან ათ-თორმეტ ვერსის მოშორებით ბოროტ-მომქმედთ აეყარათ რკინის გზის რელსები. ღამის 3 საათზე როსტოვიდან მოდამავალმა მატარებელმა ეს ვერ შეამჩნია ბ ლიანდაგს გადასცდა. ვაგონები და ორთქლ-მავალი დაიმსხვრა. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა; ავზაკებმა, 40 კაცამდე, სეტყვასავით დაახალეს თოფები ფოსტის ვაგონს. დარაჯმა, რომელიც ფოშტის ვაგონში იყო, რამდენჯერმე ესროლა ავზაკებს. ჩქარა გზის ყარაულებიც მოეშველნენ და ავზაკები გაიქცნენ ისე, რომ ვერა წაიღეს რა.

*** 15 ივნისს, საღამოს, ბაქოს მატარებლით მანჯურიაში წავიდა ამიერ-კავკასიის რკინის გზიდან გაგზავნილი ორმოცდა ხუთი მეისრე.

*** როგორც „პრავ. ვესტ."-შია გამოცხადებული, იმ სახელმწიფო სტიპენდიატებს, რომელნიც სამასწავლებლო სემინარიის გათავების შემდეგ პირველ დაწყებით სკოლებში ორ წელიწადს იმსახურებენ, უფლება აქვთ სწავლის განსაგრძობად სამასწავლებლო ინსტიტუტში შევიდნენ.

*** გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეზეშა, მისს უდიდებულესობას 14 ივნისს: „13 ივნისს იაპონელებმა იერიში მიიტანეს ჩვენი არმიის იმ ჯარზე, რომელიც აღმოსავლეთით იდგა და რომელსაც პოზიციები ეჭირა ფინშუალინისა, მოდულინისა და დალნის უღელტეხილების წინ. ჩვენმა ცხენოსნებმა და ქვეითა რაზმებმა, რომელთაც უკან დაიხიეს, გამოარკვიეს, რომ სამსავე უღელტეხილისკენ მოდიოდა იაპონიის ძლიერი რაზმი. დალნის უღელტეხილისაკენ სხვა ჯარს გარდა მოდიოდა აგრეთვე გვარდიის დივიზიაც. იაპონელებმა პირდაპირ მოქმედების გარდა დიდძალი ჯარი გაჰგზავნეს ბ მოუარეს იმ ჩვენ რაზმებს, რომელთაც ფენშუალინის და მოდულინის უღელტეხილები ეჭირათ. ფენშუალიდან ჩვენმა ჯარმა ტიტხეში დაიხია. 14 ივნისს აქ იმათ თავს დაეცა იაპონელთა პატარა რაზმი, რომელიც უკუგდებულ იქმნა. 13 ივნისს, საღამოთი, იაპონელებმა ჩვენი მოწინავე ჯარი ვანდიაპუძიდან დალნის უღელტეხილისაკენ დასწიეს. 14 ივნისს, დილით, იაპონელებმა განაგრძეს იერიში ჩვენის პოზიციის წინააღმდეგ დალნის უღელტეხილზე. ჩვენი მოწინავე ჯარი რამდენსამე ხანს იგერიებდა იაპონელთა ბრიგადას და სამ ბატარეიას, რომელნიც პირდაპირ მოდიოდნენ, მაგრამ შემდეგ ჩვენმა ჯარმა უკან დაიწია, რადგან იაპონელებს სხვა რაზმები გაეგზავნათ ჩვენის ჯარის მოსავლელად. დაზვერით ირკვევა, რომ იაპონიის სამხრეთ არმიის ჯარის ნაწილი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ მიდის კუროკის ჯართან შესაერთებლად. შუადღისას ამბავი მოვიდა, რომ სენიუჩენთან ჩვენ ცხენოსნებს ცხარე ბრძოლა ჰქონდათო. როგორც ამ უკანასკნელ დღეებში მიღებულ ცნობებიდან სჩანს, იაპონიის ის ლაშქარი, რომელიც ჩვენის მანჯურიის ჯარის წინააღმდეგ მოდის, შესდგება ქვეითა ჯარის 8—9 დივიზიისა და სარეზერვო ჯარის რამდენიმე ბრიგადისაგან, იაპონელებმა რეზერვებიც წინ წასწიეს".

* * გენერალ-ადიუტანტმა კუროპატკინმა შემდეგის ბრძანებით მიმართა ჯარებს: „იაპონელებთან ბრძოლის დროს თუ ხელში ჩაგვივარდებიან მოკლული, დაჭრილი ან დატყვევებული იაპონელები, გთხოვთ პატივისცემით მოეკიდოთ მამაც მტერს: მკვდრები სამხედრო პატივით დაასაფლავეთ, დაჭრილებს კი ისე მოუარეთ, როგორც ჩვენ საკუთარ დაჭრილებს.“ ეს განკარგულება იმიტომ გამოსცა მთავარ-სარდალმა, რომ ხმები მოდიოდა, იაპონელები რუსის დაჭრილებს ჩინებულად უვლიან თავის საავადმყოფოშიო. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს მოხსენება მოვიდა იმის შესახებ, რომ იაპონელებმა ზოგიერთ რაზმებში მხეცურად დატანჯეს დაჭრილი რუსებიო. „ვესტნიკ არმიი“ იუწყება, რომ 27 მაისს სიიმაძში იაპონელებმა დაკლეს რუსის ორი მსროლელი, რომელთა გვამები დამახინჯებული ნახეს. გადარჩენილი მსროლელები ამბობენ, რომ იაპონელებს შორის შეიარაღებული ჩინელები იყვნენ და შესაძლებელია იმათ დატანჯეს ორი მსროლელიო. «ვესტნიკ არმიი» სწერს, რომ აქამდის იაპონელები ისე იქცეოდნენ, როგორც შეჰფეროდა სამხედრო პატიოსნების კანონთა მცოდნე და ლმობიერ მტერს, მაგრამ ამ ბოლო დროს ამბები მოდის იაპონელთა მხეცურ საქციელის შესახებ. ამიტომ ეჭვის თვალით უნდა უცქიროთ იაპონელთა ნაქმე მიდრეკილებას განათლებისა და ადამიანობისადმი. იაპონელი სალდათები, „რომელნიც აფიცრებს არ უპირავთ ხელში, შეუპოვრობით ძველ ბარბაროსებს არ ჩამოუვარდებიან. იაპონიის ხალხი საკმაოდ განათლებული არაა, რომ ევროპის განათლებულ ხალხთა შორის ადგილი დაიჭიროს.

* * ჩვენ მივიღეთ ფრიად სამწუხარო ამბავი აბასთუმნიდგან, რომ ბ-ნი ექიმი, სამსონ თოფურია მეტად ავად ყოფილა. არ არის დიდი ხანი, რომ ექიმი ს. თოფურია ავადმყოფი წაიყვანეს ქუთაისიდგან ბორჯომს და იქიდგან-კი აბასთუმანს. თან-და თან ავადმყოფობა ერეოდა და ეხლა მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, როგორც იუწყება ბ-ნი ექიმი გოპაძე. მეტად და მეტად სამწუხარო არის ასეთი სასარგებლო ადამიანის მგვარი მძიმე მდგომარეობა და ისიც მაშინ როდესაც ჯერ კიდევ ჯანღონით აღსავსე იყო ეს დაუღალავი ექიმი და საზოგადოებისათვის თავდადებული მოღვაწე.

* * გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი ხაიჩენიდან დაბრუნდა, რადგან წვიმები ხელს უშლის სამხედრო მოქმედებას. ნაადრევია ის ცნობა ვითომ რუსებს ხელ-ახლა აეღოთ დალნის უღელტეხილი. არც რუსთა და არც იაპონელთა საკმაო ჯარს არ შეუძლიან უღელტეხილამდე მისვლა, რომ დაიპიროს იგი. გაუვალი ტალახი შეუძლებელსა ჰყოფს ზარბაზნებისა და ურმების ზიდვას. მოწინაღმდეგეთა ჯარები უღელტეხილის იქით-აქედანა სდგანან.

* * იაპონურ გაზეთებში ყველა ბრძოლის დროს მოკლულ და დაჭრილ აფიცრებისა და ჯარის კაცების სახელი და გვარი იბეჭდება. ყოველ დაჭრილ ჯარის კაცზეც-კი დაწვრილებით სწერია, რა ადგილასაა დაჭრილი და იმის მორჩენის იმედი არის თუ არა. (რ.).

* * მე-12 პოლკის პოდპოლკოვნიკი უ. 18 აპრილს ტიურენჩენთან ბრძოლის დროს იაპონელებმა დასჭრეს და დაატყვევეს. 20 აპრილს, ესე იგი ბრძოლის შემდეგ მეორე დღეს პოლკოვნიკს უ—ს შახეზდიდან (ანდუნიდან) წერილი გამოუგზავნია თავის მეუღლისათვის პეტერბურგში. პოდპოლკოვნიკი უ. სწერს: „ტიურენჩენთან საზარელი ბრძოლა მოხდა. მარჯვენა ფეხში დამჭრეს, ჩვენ ჯარს ველარ გავუყე და იაპონელებს ტყვედ ჩაუვარდი ხელში. ბრძოლას დაწვრილებით ვერ აგიწერ, ადვილად მიჰხვდები რა მიზეზითაც. ჩვენ მე-12 პოლკის აფიცრებში მხოლოდ ნახევარი ძლივს გადარჩა ცოცხალი. 6 აფიცერი ჩემსავით ტყვედ არიან. ამათგან 5 დაჭრილია. რა მოუვიდათ სხვებს, დღემდე ვერ გავიგე. ეხლა ველი, რომ გემი მოვიდეს და იაპონიაში წაგვიყვანოს. მე ტანისამოსს გარდა თან არა მაქვს-რა. ჯანთაც და ზნეობრივადაც ისე დავიღალე, რომ სულ ლოგინში ვწევარ. იაპონელები მშვენივრად გვექცევიან. რამდენადაც-კი შეიძლება მაძღრები ვართ და კარგ ოთახებში ვდგევართ. რასაკვირველია, კომფორტი გვაკლია, მაგრამ ბიუვაკებზე და პოზიციებზე უკეთეს ყოფაში როდი ვიყავით“. (რ. ს.)

26 ივნისს საქართველოს ექზარხოსი გაემგზავრა ხაშურს, სადაც 27 ივნისს აკურთხა ახლად ასაშენებელი ეკლესიის საძირკველი, ხოლო 29 ივნისს სუმბათოვის სადგურის მახლობლად, ექსარხოსმა აკურთხა სოფ. ახალდაბის ეკლესია. აქედან ექსარხოსი წავა ბორჯომ-ბაკურიანსა და ახალქალაქ—ახალციხის მაზრებში სარევიზიოდ.

*** ექიმი ვახტანგ ღამბაშიძის სანატორიის შენობა „პატარა-ცემში", ბაკურიანის მახლობლად, უკვე დასრულდა. შენობა ძლიერ შნოიანია. ამ წელში მიღება შეიძლება მხოლოდ ორმოც-და-ათი პირისა. თვითონ ექიმიც დღეს ამ სანატორიაში დაბინავდა და მსურველებს იღებს. სანატორია მოწყობილია ყოველისფრათ. ერთი კვირა არის რაც ექიმი ღამბაშიძე მოვიდა საფრანგეთიდამ და თან მოიტანა ყველა იარაღები კაცის სხეულის შესამოწმებლად და ჰაერის გამოსაკვლევად. სანატორიაში მიღებული პირები შემოწმებული უნდა იქმნენ თავ-და-პირველად და ბოლოს ყოველ კვირაობით.

ეს სანატორია, როგორც ვფიქრობთ, პირველი უნდა იყოს ჩვენს სახელმწიფოში, ჯ სრული დარწმუნებული ვართ, მნახველი ამ სანატორიისა დიდათ ისიამოვნებს. სანატორიის ნახვაც ძლიერ საადვილოა როგორც განცხადებიდანაც შეიტყობს მკითხველი.

*** პატარა ცემში ნიკოლაევის და საკოჭავს შუა 22 ივნისს საღამოს ექვს საათზე მიწა იძრა. მეორე დღეს შუადღისას კიდევ განმეორდა მიწის ძვრა, მაგრამ არა ისე ძლიერი როგორც წინა დღით.

*** არავის არ ახსოვს თითქმის ასეთი ცივი და წვიმიანი მაისი და მოქუშული თებათვე. ძლივს მორწყეს ვენახები შაბიამნის წყლით. მდაბალ ადგილებში ვენახი კარგია, მაგრამ მაღლობ ადგილებზე გაფუჭდა. სიმიდები კარგია.

*** დ. ყვირილაში ორი ხის ხიდია და არც ერთი არ ვარგა. ეხლა ამბობენ ზედა ხიდი უნდა დაიხეროსო — თუ ყვირილის მცხოვრებლებმა არ შეაკეთესო. სწორეთ დაუჯერებელი მოთხოვნაა. დ. ყვირილა არცდაბის და არც პოსადის ღირსი არ გახადეს და ეხლა ეუბნებიან ხიდი გააკეთე ხალხის საჭიროვო!..

*** „პრავ. ვეს.“-ში დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება საფოსტო-სატელეგრაფო უწყების სამსახურში ქალების მიღების შესახებ. ამ ბრძანების ძალით, საფოსტო, სატელეგრაფო და სატელეფონო დაწესებულებაში შეიძლება მიღებულ იქნან ქალები, 19 წლისაზე არა უნაკლოსნი რომელთაც მოწმობა აქვთ ქალთა გიმნაზიის, საეპარქიო და სხვა საშუალო მეოთხე კლასში სწავლის დამთავრების შესახებ ან რომელნიც შესაფერ ეგზამენს დაიჭერენ და მოწმობას მიიღებენ. კანდიდატებს გამოსცდიან საფოსტო, სატელეტრაფო და სატელეფონო საქმეში და შემდეგ ჩარიცხავენ სამსახურში.

რედაქციის პასუხი.

ზოგიერთ ჩვენ ჟურნალზე ხელის მოწერლებას საყურადღებოდ.

ჩვენ ხშირად მოგვდის წერილები ზოგიერთ ხელის მომწერთაგან, რომ მათ №-ი ჟურნალისა არ მისდის თავ-თავის დროზედ და ან რამდენიმე მიდის ჯ უმეტესი ნომრები სრულებით არ მისდისთ, ეკარგებათ. ვაცხადებთ საყოველთაოდ, რომ რედაქცია ყველას უგზავნის თავ-თავის დროზე ჟურნალს. სხვა საშუალება რედაქციას არა აქვს, თუ ფოსტა ან სხვა დაწესებულება თავ-თავის დროზე მათ გაზეთებს არ უგზავნის. არ შეიძლება, რომ თვით ხელის მომწერლებსაც ბრალი არ ედებოდეს ჟურნალების თავ თავის დროზე მიუღებლობაში. ზოგმა გაზეთი თუ გამოიწერა, მეტი საჭიროდ აღარა მიაჩნია რა. საჭიროა ხელის მომწერლებმა აიჩინონ ერთი ვინმე ფოსტის ახლო ნაცნობი პირი და მას დაავალონ მიღება და გაგზავნა ჟურნალ-გაზეთისა. წინააღმდეგ შემთხვევაში ფოსტა გადასცემს ხოლმე მაზრის ანუ ბოქაულის სამმართველოს და ამ სამმართველოდან წაიღებენ სოფლის იასოულები და ისინი გადასცემენ თუ არა ღმერთმან იცის. ბლაღოჩინი თუ იღებს ჟურნალ-გაზეთებს, იქიდან ხომ ადვილად შეუძლია მიიღოს ყველამ. ერთ თვეში ყ-დ შეუძლებელია ან მღვდელს და ან მედავითნეს არ შეხვდეს ბლაღოჩინთან მისვლა. აი ყველამ ამ დროით უნდა ი'არგებლონ და წამოიღონ. მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ავიწყდებათ ჟურნალ-გაზეთის წაღება და ბოლოს მაინც იმდურებიან: ჟურნალ-გაზეთებს არ გვიგზავნიან თავის დროზეო!

ამასთან რედაქცია საყოველთაოდ აცხადებს, რომ სასწავლო ჟამნები მზათ არის დიდი ხანია და მსურველთ შეუძლია მათი მოპოვება უყდოთ 30 კ. და ყდით ორ აბაზად. წიგნის გამყიდველებს მანეთზე დაეთმობა 20%. ამდენივე დაეთმობათ მყიდველებს როცა მიაქვთ ათ ცალზე მეტი.

რედ. ნეკ. დ. ღამბაშიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„პატარა-ცემი-“ს
საზაფხულო სამყოფი
(Colonie des vacances. Feriencoloniet.)

ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა

მოზარდ ქალ-ვაჟთათვის
ასაკით 8—16 წლამდე.

პატარა-ცემი მდებარეობს ბორჯომის ახლო, ბაკურიანის რკინის გზაზედ, სადგურ ნიკოლაევოსა და საკოჭავს შუა, მაღლობ-ვაკეზე, ფიქვნარში, 4400 ფუტის, ანუ 1300 მეტრის სიმაღლეზე, 230 ფუტით მაღალი აბასთუმანზე.

ამ ზაფხულისათვის იმართება ხსენებულ ადგილს მოზარდ ქალ-ვაჟთათვის **საზაფხულო სამყოფი**, იმის მიბაძვით, როგორც ეს დიდის ხნიდგან შემოღებულია ევროპაში.

ამგვარ დაწესებულებას **მიზნად აქვს**: ბავშვების დასვენება, ჯანმრთელობის მოღონიერება, სხეულის გამაგრება და ფიზიკური კეთილ-დღეობის მოხვეჭა მომავლისათვის, რომ მოზარდის სხეული ასცდეს მრავალ მავნებელ ვითარებას და მედგრად დაუხვდეს მოსალოდნელ ავად-მყოფობას.

მთა-ადგილის ჰაერის სიმჩატე, სისუფთავე და სხვა ბუნებრივი თვისება კარგად მოქმედებს ყოველ აგებულებაზედ, და განსაკუთრებით მარგებელია მათთვის, **ვინც არის**:

სისხლ-ნაკლები, დასუსტებული, მოქანცული ან ცხოვრების შეუფერებელ პირობებით, ან ხშირის ავად-მყოფობით, ვინც ნაავად-მყოფარია, და საკმაოდ მოღონიერებული არ არის, მეტადრე ვისაც გამოვლილი აქვს ფილტვის რომელიმე ავადმყოფობა; აგრეთვე ვინც მადა-დაკარგულია, ნერვებ-აშლილი, ქაობის ცივებით (მალარიით) შეპყრობილი, ვისიც ზრდა რაიმე მიზეზით დაჩაგრულია, ვისაც საკმარისი საზრდოობა არა აქვს და ვისი სხეულიც დაძაბუნებულია.

ხანგრძლივის გამოცდილებით გამოირკვა და დამტკიცდა, რომ ყოველ ზემოხსენებულ ნაკლს, რასაკვირველია რამდენადაც ეს შესაძლოა ბუნებისათვის, სხვაგვარ წამლობაზედ უფრო **რიგიანად ჰკურნავს მთის ჰაერი, დასვენება, უხვი საზრდო და ვარჯიშობა.**

გარდა ამისა, ვინც ქალაქის უსუფთაო და შეხუთულ ჰაერში სცხოვრებს, მათთვისაც **უსაჭიროესია** წმინდა ჰაერზე დასვენება, ღონის მოხვეჭა და სხეულის გამაგრება, რომ ავადმყოფობამ მერმისში ადვილად არ იგდოს ხელთ და არ დასჩაგროს.

საზაფხულო სამყოფში **მიიღებიან** ორივე სქესის მოზარდნი 8—16 წლამდე, ვის ჯანმრთელობასაც რომელიმე ზემოხსენებული ნაკლი აქვს, აგრეთვე ისინი, ვისაც დასვენება ჰსურს.

არ მიიღებიან: მწოლიარე ავად-მყოფნი, რომელიმე გადამდებ სენით შეპყრობილნი, არც ფილტვების სიჭლექით დაავადმყოფებულნი; არც ისინი, ვისაც რომელიმე მიზეზისა გამო მაღალ მთა-ადგილს ყოფნა სარგებლობას ვერ მოუტანს, მაგალ. გულით ავადმყოფნი, ქარებით (რევმატიზმით) დაავადმყოფებულნი.

ექიმობა და წამლობა იქნება უმთავრესად ბუნებრივი და ჰიგიენური: წმინდა მთის ჰაერი, დასვენება, უხვი და ნოყიერი საზრდო, სხეულის ყოველგვარი ვარჯიშობა: სხვა-და-სხვა გვარი შექცევა-თამაშობა, სეირნობა, მოგზაურობა, გასართობი მუშაობა, წყლით ექიმობა და ბანაობა, საერთოდ საუკეთესო ჰიგიენურ პირობებში ცხოვრება, ყოველივე შეფარდებული კერძოდ თვითეულ ბავშვის აგებულებასთან, ექიმის ხელმძღვანელობით.

გადაჭარბებული საზრდოება, თვითეულის აგებულებასთან შერჩეული, დღეში ექვსჯელ.

საზაფხულო სამყოფის ერთხელვე დადგენილი წეს-რიგი, რომელსაც მოზარდნი ადვილად ეჩვევიან და საშემდეგოდაც ითვისებენ, ყველასათვის სავალდებულოა. ვინც არ დეთანხმება ამ წესებს, მან უნდა მიატოვოს ეს სამყოფი არა უგვიანეს ერთის კვირისა.

მოზარდნი არიან **დაყოფილნი ჯგუფებად**, სქესისა, ასაკისა და წლოვანების მიხედვით. თვითეულ ჯგუფს ჰყავს საკუთარი თვალ-ყურის-მგდებელი და ყველანი საერთოდ იმყოფებიან ექიმის მუდმივ ხელმძღვანელობაში.

საზაფხულო სამყოფის ხანად განსაზღვრულია **ორი თვე**: 15 ივნისიდგან 15 მარიამობისთვემდე. მსურველთათვის ეს ხანა შეიძლება უფრო გაგრძელებულიც იქნეს.

საზაფხულო სამყოფში მისაღებ პირთა **რიცხვი განსაზღვრულია**.

პირადად ანუ წერილით ამ საქმის შესახებ ყოველგვარ ცნობების შესატყობად **მსურველთ** შეიძლება **მიმართონ** ექიმს ვახტანგ დავითის ძეს ღამბაშიძეს 1 ივნისამდე ქ. თბილისში, ნიკოლოზის ქუჩა № 46., ხოლო შემდეგ-კი: ბორჯომით, პატარა-ცემს.

მოთხოვნილებისათანავე ყველას **უფასოდ ეგზავნება წიგნაკი** საზაფხულო სამყოფის შესახებ, რომელშიდაც მოთავსებულია დაწვრილებით განმარტება და პირობები.

თუ პირადად ჩვენება მოუხერხებელია, უნდა გვაცნობონ, ადგილობრივის ექიმის გასინჯვით, რა ნებულება აქვს იმ მოზარდს, რომლის დაბინავებაც ჰსურსთ საზაფხულო სამყოფში.

მისასვლელი გზა საზაფხულო სამყოფში: ბორჯომიდგან მე-25 ვერსზე, ბაკურიანის რკინის გზით სადგურ ნიკოლაევოსთან. განზრახულია საკუთარ ბაქანის გამართვა, რომელიც უნდა იქნეს თვით საზაფხულო სამყოფის წინ.

მატარებლის მიმოსვლა: ბორჯომიდგან გადის დილის 8 ს. 58 წ. და ნაშუადღეის 5 ს. 28 წ. „პატარა-ცემს" მიდის: 1) დილის 11 ს. 13 წ. და 2) საღამოს 7 ს. 32 წ.

პატარა-ცემიდგან: ნაშუადღ. 1 ს. 19 წ. და საღამოს 9 ს. 43 წ. გადის.

ბორჯომში მოდის: 1) ნაშუადღ. 3 ს. 29 წ. და 2) 11 ს. და 33 წ.

ვისაც სურს, შეუძლია მოვიდეს პატარა-ცემს, ბორჯომში ღამის-გაუთევლად, დარჩეს იქ 2 საათსა და 10 წამს და იმავე დღეს დაბრუნდეს; ხოლო ვისაც მეტის ხნით მოესურვება პატარა-ცემს დარჩენა, შესაძლოა დილის მატერებელით ასვლა ბორჯომიდგან და საღამოს დაბრუნება. მაშინ პატარა-ცემს 9 საათითა და ნახევრით შეიძლება დარჩენა:

მიმოსვლა ღამის გაუთევლად:

თბილისიდგან დილის 8 ს. 58 წ., ხაშურიდგან 1 ს. 28 წ., ბორჯომს 2 ს. 20 წ. ბორჯომიდგან 5 ს. 28 წ. ბათუმიდგან დილის 6 ს. 4 წ., ფოთიდგან 6 ს. 48 წ., ქუთაისიდგან 9 ს. 43 წ. ყვირილიდგან 11 ს. 31 წ. ხაშურიდგან 3 ს. 3 წ. ბორჯომს 3 ს. 55 წ. ბორჯომიდგან 5 ს. 28 წ.

ბორჯომიდგან შესაძლოა პირდაპირი მოლაპარაკებაც «პატარა-ცემის» საზაფხულო სამყოფთან **ტელეფონით**.

შინაარსი:—**ხალიტერატურო განყოფილება**: ორიოდე სიტყვა იმერეთის საქალებო ეპარქიალურ სასწავლებელთან პანსიონის დაარსების შესახებ, გერ, ხაქ.-ს.—ეკკლესია, თარგმანი ს. გორგაძისა.—„გზა ბედნიერებისაკენ", ნ. ხ—კ.—ესტატე ბესარიონის ძე ღამბაშიძე (ნეკროლოგი).—იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა კრება ქ. ქუთაისში 15—22 დეკემბერს 1904 წ. დამწერესი.—გოგირდითა და შაბიამნით წამლობა ვაზისა. ჟურნალ-გაზეთთაგან.—ახალი ამბები და შენიშვნები.—რედაქციის პასუხი.—განცხადება პატარა ცემის საზაფხულო სამყოფის.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. **დ. ღამბაშიძე** Редакторъ-Издатель **П. Д. Гамбашидзе.**

Дозволено цензурою Архимандритъ Георгій Мая 25 *1904 г.*

Типог. редакціи журн. „Пастырь" (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.